

**პროფესიული
საგანმანათლებლო
პროგრამების
კურსდამთავრებულთა კვლევა
2022 წლის კოჰორტა**

**პროფესიული უნარების სააგენტო
მარტი, 2024**

შინაარსი

შესავალი	3
კურსდამთავრებულთა კვლევის შესახებ.....	5
კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები.....	6
კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, კონსტრუქტები და ცვლადები .	8
კურსდამთავრებულთა კვლევის დიზაინი - ქსელური ინსტიტუციური მოდელი	11
კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია.....	13
კურსდამთავრებულთა კვლევის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ასპექტები.....	16
ელექტრონული პორტალი	18
კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები	19
კურსდამთავრებულთა კვლევის მონაწილეები.....	19
კვლევის შედეგები	23
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია	24
სასწავლო პროცესი და სტუდენტების მხარდაჭერა	27
კომპეტენციები.....	33
სწავლით კმაყოფილების ზოგადი შეფასება	34
კურსდამთავრებულთა დასაქმება და სამუშაოს მახასიათებლები.....	37
სამსახურის ძიება	48
სამუშაოსა და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი	50
კარიერული ორიენტაცია და შრომითი კმაყოფილება.....	55
ძირითადი მიგნებები.....	61
მიმართულებები შემდგომი მუშაობისათვის	67
დანართები	72
დანართი 1: ცხრილები	73
დანართი 2: კვლევაში მონაწილე დაწესებულებების ჩამონათვალი დაწესებულებების ტიპებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის მიხედვით.....	88
დანართი 3: დარგების ფუნქციური კოდების მიმართება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონაცემებთან (რესპონდენტთა რაოდენობების მითითებით)	91

შესავალი

საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer study) საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთაგან ინფორმაციის შეგროვების სისტემური მიდგომაა, რომლის საშუალებითაც იქმნება ახალი ცოდნა: ა) სასწავლო პროგრამაზე სწავლის მოკლე და გრძელვადიანი შედეგების, ისევე როგორც ბ) შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ.¹

პროფესიული განათლების სისტემების განვითარების კონტექსტში თანდათანობით იზრდება ინტერესი კურსდამთავრებულთა კვლევის მიმართ, რადგან იგი ბაზრისათვის საჭირო კომპეტენციების და ადამიანური კაპიტალის ფორმირებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას უზრუნველყოფს.² პროფესიული განათლების ეროვნული სტრატეგიაც (2021-2025 წლები) მკაფიოდ აჩვენებს კურსდამთავრებულთა კვლევის მნიშვნელოვნებას საქართველოში.³

მოცემული კვლევა წარმოადგენს საქართველოში კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი, ე.წ. ქსელური ინსტიტუციური მოდელის დანერგვის მეორე ციკლს, რომელიც მსოფლიოში აპრობირებულ მეთოდოლოგიასა და ფართომასშტაბიანი ქსელური საერთაშორისო ინიციატივების საუკეთესო გამოცდილებას ეყრდნობა.⁴ კვლევის პირველი ციკლი განხორციელდა 2022 წელს, რომელშიც მონაწილეობდნენ 2020-2021 წლის კურსდამთავრებულები⁵.

საქართველოში პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კვლევის არსებული გამოცდილებისაგან განსხვავებით, ქსელური ინსტიტუციური მოდელი გულისხმობს სტანდარტიზებული, მსოფლიოში აპრობირებული ინსტრუმენტების გამოყენებას და თავად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიურ მონაწილეობას კურსდამთავრებულთაგან მონაცემების შეგროვებასა და დამუშავების პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ეყრდნობა ევროპაში პროფესიული განათლების სფეროში მნიშვნელოვანი აქტორების (International Labor Organization (ILO), European Training Foundation (ETF), CEDEFOP) მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს⁶.

კურსდამთავრებულთა კვლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2022 წლის კურსდამთავრებულების აზრის შესწავლას გულისხმობდა. საველე სამუშაოები განხორციელდა 2023 წლის შემოდგომასა და ზამთარში.

¹ European Commission (2020). Mapping the state of graduate tracking policies and practices in the EU Member States and EEA countries.

² https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32017H1209%2801%29#nr12-C_2017423EN.01000101-E0012

³ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2021). პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2021-2025

⁴ Renewed agenda for higher education (2017), Expert group on Graduate Tracking (2018-2020).

⁵ <https://drive.google.com/file/d/1qjrmMnDe3CWLC3PgQ0rNdR9RmolgbC1/view?fbclid=IwAR0IyVm5vTngwvV1vRvWTMm-369CFMJxe-J2HLhPeDbqKIXInlyNtOETHm4>

⁶ ETF, Cedefop, ILO (2017). Carrying out tracer studies: guide to anticipating and matching skills and jobs: volume 6.

საველე სამუშაოების მართვისა და მონაცემების კონსოლიდაციისთვის გამოყენებული იქნა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმა. კურსდამთავრებულებს შეეძლოთ კითხვარის შევსება ელექტრონულად, დისტანციურად, კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის გამოყენებით.

ანგარიში მიმოიხილავს პროფესიული განათლების ყველა დარგის ფარგლებში ზოგად ტენდენციებს კურსდამთავრებულთა დასაქმების, სწავლით კმაყოფილების და კარიერული განვითარების მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ყველა გრძელვადიანი პროფესიული პროგრამის და მისი განმახორციელებელი დაწესებულების შესახებ, ეს მონაცემები, კვლევის დიზაინის თანახმად, კონფიდენციალურია. ისინი გამოიყენება ორგანიზაციების შიდა განვითარების მიზნებისთვის და პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების ინდივიდუალური განვითარების გეგმების შესამუშავებლად.

კურსდამთავრებულთა
კვლევის შესახებ

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნებს მრავალდონიანი სტრუქტურა აქვს. კვლევის შედეგები გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როგორც მიკრო (ცალკეული პროგრამის და ინსტიტუციის), ისე მეზო (სექტორის) ან მაკრო (სახელმწიფოს) დონეზე. შესაბამისად, ეს მიზნები, სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება დაფუძვნიროთ უშუალოდ სასწავლო პროგრამის, საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული განათლების სისტემის, დარგის ან მთლიანად სამუშაო ბაზრის განვითარების საჭიროებებს.⁷

მაკრო დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევები ემსახურება: ა) სამუშაო ბაზრის მოთხოვნებისა და სამუშაო ძალის ზოგადი მახასიათებლების შედარებასა და ამ მიმართულებით შეუსაბამობების/საჭიროებების გამოვლენას (ბაზრის კვლევის სხვა ინსტრუმენტებთან ერთად); ბ) განათლების ეკონომიკის მიმართულებით გარკვეული აქტუალური საკითხების წარმოჩენას. მაგალითად, განათლების უკუგებისა და ფარდობითი სარგებლის გამომანგარიშებას; გ) მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების უკეთ აღწერასა და გააზრებას. მაგალითად, გენდერის, წინმსწრები განათლების, და სხვა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების გავლენის ანალიზს დასაქმების ალბათობაზე, დასაქმების პირობებსა და კარიერულ განვითარებაზე; დ) ქვეყნის ან სექტორის დონეზე პროფესიულ განათლებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგების შეფასებას.^{8,9,10} ამ დონეზე ანალიზის ფარგლებში, აგრეთვე, საინტერესო ასპექტებს წარმოადგენს კომპეტენციების ე.წ. ჰორიზონტალური და ვერტიკალური თავსებადობა. ჰორიზონტალურ თავსებადობაში იგულისხმება შეძენილი კომპეტენციების რელევანტურობა სამუშაო კონტექსტთან. ვერტიკალური თავსებადობა გულისხმობს სასწავლო პროგრამის დონის შესაბამისობას სამუშაო პოზიციასთან.^{11 12}

პროფესიული განათლების განმახორციელებელი ცალკეული ინსტიტუციის დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები გვაწვდის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას სასწავლო რესურსების, პირობების და სასწავლო პროცესის მახასიათებლების შესაძლო გავლენის შესახებ სწავლის შედეგებზე როგორც ცალკეული პროგრამის, ისე საგანმანათლებლო დაწესებულების მიხედვით. ამ მიმართულებებით მნიშვნელოვან ქვეგანზომილებებს წარმოადგენს: კურიკულუმის (სასწავლო გეგმის მახასიათებლები), მასწავლებლები და სხვა რესურსები, სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო დაწესებულებაში

⁷ Cedefop, Eurofound (2018). Skills forecast: trends and challenges to 2030. Luxembourg: Publications Office. Cedefop reference series; No 108

⁸ Altonji, J. G. (1993). The demand for and return to education when education outcomes are uncertain. *Journal of Labor Economics*, 11(1, Part 1), 48-83.

⁹ ETF, Cedefop, ILO (2017). Carrying out tracer studies: guide to anticipating and matching skills and jobs: volume 6.

¹⁰ Hampf, F., Wiederhold, S., & Woessmann, L. (2017). Skills, earnings, and employment: exploring causality in the estimation of returns to skills. *Large-scale Assessments in Education*, 5(1), 1-30.

¹¹ Cedefop (2021). *Understanding technological change and skill needs: skills surveys and skills forecasting*. Cedefop practical guide 1. Luxembourg: Publications Office.


¹² Cedefop. (2015a). Handbook for VET providers. Cedefop Reference series. Luxembourg: Publications Office of the European Union. Luxembourg: Publications Office.

არსებული კლიმატი და ორგანიზაციული კულტურა, კურსდამთავრებულთა ქსელები და კავშირები საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.^{13 14 15}

კურსდამთავრებულთა კვლევის მნიშვნელოვან სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ ხდება სასწავლო პროგრამების „რეტროსპექტული“ შეფასება, რაც სწავლის გამოცდილებისა და შედეგების გრძელვადიანი გადმოსახედიდან, გარკვეული გამოცდილების გათვალისწინებით დანახვის შესაძლებლობას ქმნის. ამ მხრივ კურსდამთავრებულთა კვლევები სტუდენტთა მიმდინარე გამოცდილების შეფასების კვლევების შემავსებელ ინსტრუმენტად მოიაზრება. ის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პროფესიული განათლების შედეგების სხვადასხვა განზომილების შესახებ და პროფესიული პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების სტრატეგიის დაგეგმვაში გვეხმარება.

სქემა 1 აჩვენებს კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითად განზომილებებს და პროფესიული განათლების პოლიტიკის იმ არეებს, სადაც გამოიყენება კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები.

სქემა 1. კურსდამთავრებულთა კვლევის განზომილებები და პოლიტიკის არეები, სადაც გამოიყენება კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები



¹³ Coates, H. (2009). Building quality foundations: Indicators and instruments to measure the quality of vocational education and training. *Journal of Vocational Education and Training*, 61(4), 517-534.

¹⁴ Dumbrell, T. (2000). Measuring the outcomes of vocational education and training. *Leabrook, South Australia: National Centre for Vocational Education Research*.

¹⁵ ETF (2014b). Quality assurance in Vocational Education and Training. A collection of articles.

კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, კონსტრუქტები და ცვლადები


კურსდამთავრებულთა კვლევა, როგორც აღწერითი, ისე ახსნითი ხასიათის კვლევაა, რომელიც კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ცვლადების მიხედვით სურათის დეტალურად დახასიათების, ისევე როგორც ამ ცვლადების ურთიერთმიმართების დადგენის შესაძლებლობას ქმნის.

იგი შეიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის (თავად კურსდამთავრებულთათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისთვის, დამსაქმებლისთვის, ზოგადი პოლიტიკის დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთათვის და ა.შ.) მნიშვნელოვან და მრავალფეროვან ინფორმაციას როგორც დასაქმებისა და სამუშაოს სპეციფიკის, ისე პროფესიული განათლების სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ლოგიკა ეყრდნობა ე.წ. სისტემურ მოდელს. ამ მოდელის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერი ტიპის ამონაგები განპირობებულია შენატანის (რესურსების) და პროცესის მახასიათებლებით.

სქემა 2 აღწერს ურთიერთმიმართებას შენატანის, პროცესისა და ამონაგების ცვლადებს შორის.

სქემა 2. კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო



კონტექსტი: სამუშაო ბაზარი- ქვეყანა, რეგიონი, სოციო-ეკონომიკური განვითარება, პერსონალური განვითარება

შენატანის განზომილება მოიცავს სტუდენტის/კურსდამთავრებულის სოციო-ბიოგრაფიულ მახასიათებლებს (სქესი, ასაკი, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, გამოცდილება და მოტივები).

პროცესის განზომილება მოიაზრებს თავად საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ინტერაქციის პრაქტიკას, რომელიც, თავის მხრივ, ორ მნიშვნელოვან კომპონენტად შეიძლება დავშალოთ. ეს კომპონენტებია: ა) სწავლა-სწავლების პროცესი და ბ) სწავლის მხარდამჭერი პროცესები და პირობები.

შედეგის განზომილება, ასევე, ორ ქვეგანზომილებად იშლება. პირველი ქვეგანზომილება აერთიანებს მოკლევადიან შედეგებს (ე.წ. ამონაგებს) და გულისხმობს სწავლის პროცესში შეძენილ ცოდნას, უნარებს, დამოკიდებულებებს (კომპეტენციებს), მოტივაციას და აკადემიური მიღწევის მაჩვენებლებს. პროფესიულ პროგრამაზე სწავლის გრძელვადიანი შედეგები აისახება ე.წ. სამუშაო ბაზრის სიგნალებში, რომლებიც აღიწერება ტრანზიციით სწავლიდან სამუშაო კონტექსტში, დასაქმების მახასიათებლებით, სამუშაოს სპეციფიკით, კურსდამთავრებულის წარმატებით პროფესიულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

სქემა 3 აღწერს კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზის ჩარჩოს - ძირითად ურთიერთმიმართებებს კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან განზომილებებსა და ცვლადებს შორის.


ჩარჩოს ცენტრში მოქცეულია ინდივიდის კომპეტენციები, რომლებიც, განაპირობებს როგორც სამუშაოზე ტრანზიციის, ისე დასაქმებისა და სამუშაოს სპეციფიკას.

კურსდამთავრებულთა კომპეტენციების განვითარებაზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს როგორც პიროვნული მახასიათებლები, ისე პროფესიულ პროგრამაზე სწავლის გამოცდილება.

ამასთანავე, ინდივიდის კომპეტენციებთან ერთად, ტრანზიციისა და დასაქმების პროცესზე გავლენას ახდენს თავად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოყენებული ინსტიტუციური პრაქტიკა და პროცესები.

უფრო ფართო კონტექსტის ფარგლებში, ასევე, მნიშვნელოვანია ბაზრის განვითარების ადგილობრივი და საერთაშორისო ტენდენციები და კონკრეტული რეგიონისთვის დამახასიათებელი სოციო-კულტურული მახასიათებლები.

სქემა 3. კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემების ანალიზის ჩარჩო



კურსდამთავრებულთა კვლევის კონსტრუქტები და ცვლადები

კვლევის მიზნების კომპლექსურობიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა კვლევის მსოფლიოში აპრობირებული ინსტრუმენტების საბაზო მოდული 100-მდე სხვადასხვა ცვლადს აერთიანებს, რომლებიც რამდენიმე მნიშვნელოვან განზომილებაში შეიძლება დაჯგუფდეს.

1. **კურსდამთავრებულის სოციო-ბიოგრაფიული მონაცემები:** კურსდამთავრებულის სქესი, ასაკი, წინარე და შემდგომი განათლება (პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, სწავლის პარალელურად, სწავლის დასრულების შემდეგ), საცხოვრებელი ადგილი, სამუშაოს ძიების და მუშაობის გამოცდილება, სამომავლო გეგმები.
2. **პროგრამაზე სწავლის გამოცდილება (რეტროსპექტიული შეფასება)** ამ მიმართულების ფარგლებში ძირითადი ქვესაკითხებია:
 - სწავლა-სწავლების თავისებურებების შეფასება (სწავლების მეთოდები და მიდგომები, სტუდენტებთან და პედაგოგებთან ინტერაქცია, მასწავლებლების კომპეტენცია, სასწავლო მასალები)
 - სწავლის პროცესის ხელშემწყობი ორგანიზაციული სტრუქტურის და სერვისების შეფასება (პრაქტიკის კომპონენტის ფასილიტაცია, კარიერული განვითარების მხარდაჭერა, სწავლის პროცესის მხარდაჭერა, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა).

სტუდენტების ჩართულობა პროგრამების და სერვისების განვითარების შეფასებასა და დაგეგმვაში)

3. **სწავლის შედეგები:** პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარების, ზოგადი უნარების და დამოკიდებულებების (კომპეტენციების) რელევანტურობის შეფასება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან და ინდივიდუალური განვითარების მიზნებთან მიმართებით.
4. **სამსახურის ძიება, დასაქმება და სამუშაო პირობები.** ეს განზომილება, თავის მხრივ, ორ ქვეკომპონენტად იშლება:
 - სამუშაოს ძიების სპეციფიკა: ხანგრძლივობა, ინტენსივობა, ფორმები, სამუშაოს ძიების კრიტერიუმები;
 - ამჟამინდელი სამუშაო სტატუსი და შრომითი კმაყოფილება: სამუშაოს შესაბამისობა მიღებულ კვალიფიკაციასთან, სამუშაოს რანგი, დასაქმების სფერო, დამსაქმებელი ორგანიზაციის მახასიათებლები, კომპეტენციების გამოყენება სამუშაოს შესრულებისას და საჭირო კომპეტენციები, სასწავლო პროგრამის როლი დასაქმებაში.

კურსდამთავრებულთა კვლევის დიზაინი - ქსელური ინსტიტუციური მოდელი

კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი მოდელი წარმოადგენს ე.წ. ქსელურ ინსტიტუციური მოდელს, რომელიც ცენტრალიზებული და ინსტიტუციური (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე) ადმინისტრირებული მოდელების ჰიბრიდულ ვერსიად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ქსელურ მოდელში გაერთიანებულია ის ძირითადი უპირატესობები, რომლებიც ცენტრალიზებულ და ინსტიტუციურ მოდელებს ახასიათებს. კერძოდ:

- ცალკეულ დაინტერესებულ მხარეს (პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას) აქვს შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს როგორც კვლევის დიზაინის შემუშავების, ისე მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესში, თუმცა კვლევის პროცესი და მონაცემების ანალიზი მიმდინარეობს უნიფიცირებული მიდგომებისა და ხარისხის შეთანხმებული სტანდარტების გათვალისწინებით.
- მაკრო დონეზე ზოგადი ინფორმაციის გარდა ასეთი მოდელი მონაცემების მიკრო და მეზო დონეებზე სეგრეგირების შესაძლებლობასაც ქმნის (მაგალითად, ცალკეული

საგანმანათლებლო პროგრამის, საგანმანათლებლო დაწესებულების, სწავლის სფეროს, ან დარგის მიხედვით).

- კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, ერთი მხრივ, ეს მოდელი ხელს უწყობს ხარისხის საერთო სტანდარტების ფორმირებას და დაცვას საერთო მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენების და შესაბამისი მონიტორინგის გზით, თუმცა, მეორე მხრივ, იგი მოიაზრებს ცალკეული ინსტიტუციის კომპეტენციების განვითარებასა და ცოდნის დაგროვებას ინსტიტუციების შიგნით, რადგან ამ მოდელში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება კვლევის დიზაინსა და ანგარიშის თანაშემქმნელად გვევლინება.

კურსდამთავრებულთა კვლევების ქსელური ინსტიტუციური მოდელი აერთიანებს საქართველოში მოქმედ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც თანამშრომლობენ კურსდამთავრებულთა კვლევების განხორციელების პროცესში.

თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები გულისხმობს შემდეგს:

- პროფესიული უნარების სააგენტო პსდ-ებთან თანამშრომლობით ერთობლივად შეიმუშავენს კითხვარის ე.წ. საბაზო მოდულს, რომელიც ყველა პსდ-თვის საერთოა.
- მონაცემების შეგროვება ყველა პსდ-ში მიმდინარეობს სტანდარტული პროტოკოლით საერთო ვადების და ეტაპების გათვალისწინებით. მონაცემების შეგროვების პროცესის მართვა ხდება ერთიან ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ სპეციალურად კურსდამთავრებულთა კვლევისათვის შეიქმნა.
- მონაცემების მთავარი ნაკადის დამუშავება ხდება უნიფიცირებულად - არსებობს ერთიანი მონაცემთა ელ. ბაზა, თუმცა თითოეული დაწესებულების მონაცემი კონფიდენციალურია. ყველას აქვს წვდომა მხოლოდ საკუთარ და, ასევე, აგრეგირებულ (საერთო მონაცემებზე).
- ყველა პსდ იღებს ინდივიდუალურ ელ. ანგარიშს საბაზო მოდულისთვის, რაც გულისხმობს დაწესებულებისა და პროგრამის დონეზე შედეგებს გრაფიკული სახით.
- ქსელის ფარგლებში იმართება შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრები, პროფესიული უნარების სააგენტო ტექნიკურ დახმარებას უწევს პსდ-ებს მონაცემების დამუშავების პროცესში.
- ქსელის მიზანია კურსდამთავრებულთა კვლევის პროფესიონალიზაცია და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის საკითხებში კომპეტენტური გუნდის ფორმირება.

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია

დროის ინტერვალი პროგრამის დასრულებიდან

კურსდამთავრებულთა კვლევის მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით პროგრამის დასრულებიდან კვლევაში მონაწილეობამდე დროის ინტერვალი არ უნდა იყოს ერთ წელიწადზე მცირე და ორ წელიწადზე მეტი.

პროგრამის დასრულებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ შეუძლებელია პროგრამის შედეგების სრულფასოვნად შეფასება, რადგან კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს ჯერ არ აქვს საკმარისი სამუშაო გამოცდილება. მეორე მხრივ, პროგრამის დასრულებიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ, იზრდება კურსდამთავრებულის კარიერულ განვითარებაზე სხვა (პროგრამისგან დამოუკიდებელი) ფაქტორების ეფექტი, გარდა ამისა რთულდება კურსდამთავრებულთა დაკავშირების და მათი კვლევაში ჩართვის საკითხების მოგვარება.

კურსდამთავრებულთა კვლევის მასშტაბი

ინსტიტუციური ქსელური მოდელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ კვლევის ფარგლებში შესაძლებელია მონაცემების მოპოვება სტრუქტურული იერარქიის ყველაზე მცირე ერთეულის - საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე.

მონაცემების ერთიან ელექტრონულ ბაზაში აკუმულირების შედეგად, ამგვარი დეტალიზაციით შეგროვებული მონაცემები შემდგომში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვადასხვა კომბინაციით (კვლევის საჭიროებებიდან და ცვლადების სპეციფიკიდან გამომდინარე) - მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულების, სწავლის სფეროს, სექტორის ან ქვესექტორის დონეზე.

კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლების განხორციელების სიხშირე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევები ხორციელდება ყოველწლიურად. იგივე რეკომენდაცია (ყოველწლიური ციკლების განხორციელება) არის გაცემული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროპის ტრენინგის ფონდის მიერ.

შერჩევა

ვინაიდან კვლევის დიზაინის ფორმატად საქართველოში შერჩეულია ქსელური ინსტიტუციური მოდელი, რაც კვლევის ადმინისტრირებას ცალკეული ინსტიტუციის დონეზე მოიაზრებს, მეთოდოლოგია გულისხმობს ერთი კოჰორტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა სრული აღწერის განხორციელებას (ყველა კურსდამთავრებულის კვლევაში მოწვევას).

ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს ინფორმაციის ამოღება თითოეული პროგრამის მიხედვით, სადაც სტუდენტთა რაოდენობა შესაძლოა მცირე იყო და შერჩევის განხორციელება აზრს იყოს მოკლებული.

კვლევის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ კვლევაში მოწვეულ კურსდამთავრებულთაგან მონაწილეობას მიიღებდა მხოლოდ ნაწილი. საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, პასუხების წილი (response rate) ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება არ აღემატებოდეს გენერალური ერთობლიობის (ერთი კოჰორტის ყველა კურსდამთავრებულის) 25%-ს. გარდა ამისა, პასუხების წილი, ჩვეულებრივ უფრო დაბალია ელექტრონული დისტანციური გამოკითხვის შემთხვევაში.

ამ რისკის შესამცირებლად კვლევაში ჩართული ინსტიტუციები გარკვეულ დამატებით ღონისძიებებს მიმართავენ და კვლევისათვის შემუშავებული სპეციალური პროტოკოლით სარგებლობდნენ, რაც გულისხმობდა კურსდამთავრებულთა რამდენჯერმე მოწვევას (სულ მცირე ორი შეხსენების გაგზავნას ერთ-ორკვირიანი შუალედებით).

მომავალში ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება წინასწარ მუშაობას სტუდენტებთან (სწავლის პროცესში ამ კვლევის მნიშვნელოვნების ახსნას) და კურსდამთავრებულთა კლუბების ფორმირებისკენ მიმართულ აქტივობებს.

საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში პასუხების საშუალო წილი კვლევებში საშუალოდ 30-50%-ს შეადგენს.

კურსდამთავრებულთა კვლევის ამ ციკლში მონაწილეობა მიიღო გენერალური ერთობლიობის დაახლოებით 47%-მა. შერჩევის ცდომილება 1.2%-ს შეადგენს.

მონაცემების შეგროვების მეთოდები

კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაცემების შეგროვების ძირითად მეთოდს გამოკითხვა წარმოადგენდა. კერძოდ, გამოყენებული იქნა სტრუქტურირებული, თვითადმინისტრირებადი კითხვარი (ონლაინ გამოკითხვა). სტრუქტურირებული კითხვარის პარალელურად, ასევე, შესაძლებელია, თვისებრივი მეთოდების (მაგალითად, ფოკუს ჯგუფების) გამოყენება გარკვეულ საკვლევ კითხვებზე უფრო სიღრმისეული ინფორმაციის ამოსაღებად.

ონლაინ გამოკითხვის გზით ინფორმაციის შეგროვება ნაკლებ რესურსს მოითხოვდა პირისპირ ინტერვიუს ან საფოსტო/სატელეფონო ინტერვიუსთან შედარებით, თუმცა მეთოდის შეზღუდვებს წარმოადგენდა ის, რომ რესპონდენტს არ ჰქონდათ მათთვის გაუგებარი საკითხების დაზუსტების შესაძლებლობა, ისევე როგორც რთულდებოდა რესპონდენტის მიერ კითხვარის შევსების პროცესის კონტროლი (ნაკლები მონაცემების პრობლემა).

ამ რისკების შესამცირებლად კვლევის ფარგლებში:

- საჭიროების შემთხვევაში, რესპონდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ონლაინ ან სატელეფონო დახმარება;
- პროტოკოლის მიხედვით განხორციელდა პორტალზე ატვირთული ინფორმაციის მონიტორინგი და ნაკლული მონაცემების წილის შემცირების ღონისძიებები;
- რესპონდენტებს შეეძლოთ კითხვარის შევსება როგორც კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონის გამოყენებით;
- კითხვარში მოცემული იყო მკაფიო და ამომწურავი ინსტრუქციები, კითხვარის სტრუქტურა არ შეიცავდა რთულ გადასვლებს, კითხვები დაჯგუფებული იყო მარტივად აღსაქმელ, შეკრულ შინაარსობრივ ერთეულებად.
- ველის განხორციელების პარალელურად და დასრულების შემდეგ შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ რესპონდენტების ჯგუფთან მოწმდებოდა კითხვარში მოცემული მონაცემების ავთენტურობა.

კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალურ მოდელში ცვლადების და კონსტრუქტების სიმრავლის გამო, საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე, საჭიროდ არ ჩაითვალა კითხვარის მოკლე ვერსიის შემუშავება. გამოცდილება აჩვენებს, რომ 10-20 გვერდიანი კითხვარი მნიშვნელოვნად არ ამცირებს სრულად შევსებული კითხვარების დაბრუნების მაჩვენებელს¹⁶.

კურსდამთავრებულთა კვლევის ონლაინ ფორმატში განხორციელების კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კითხვარის შევსებისას მოქმედებს ე.წ. „თვითშერჩევის პრინციპი“ - კურსდამთავრებულები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, მიიღონ თუ არა მონაწილეობა კვლევაში. შესაბამისად, არსებობს იმის რისკი, რომ გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის რესპონდენტები, რომლებიც უფრო მოტივირებულები არიან, შეინარჩუნონ კომუნიკაცია პსდ-თან, უფრო ლოიალურად არიან განწყობილნი პროგრამის მიმართ და ა.შ. ეს გარემოება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კვლევის გარე ვალიდობაზე - შედეგები შესაძლოა ასახავდეს კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნაწილის მოსაზრებებს და არ იყოს მთლიანი კოჰორტის აზრის ამსახველი. შესაბამისად, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ონლაინ გამოკითხვის ეს შესაძლო შეზღუდვა.

¹⁶ ETF, Cedefop, ILO (2017). Carrying out tracer studies: guide to anticipating and matching skills and jobs: volume 6.

კურსდამთავრებულთა კვლევის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ასპექტები

მრავალ უპირატესობასთან ერთად ქსელური ინსტიტუციური დიზაინი გარკვეულ გამოწვევებსაც უკავშირდება. მაგალითად, ამ დიზაინის მთავარ დაშვებას წარმოადგენს ის, რომ პროფესიული განათლების განმახორციელებლები თავად უნდა ფლობდნენ საჭირო კომპეტენციების მინიმუმს კვლევის დიზაინის, ადმინისტრირებისა და შედეგების დამუშავების პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის და ინსტიტუციის დონეზე არსებობს შესაბამისი გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს კვლევის ინსტიტუციურ და ქსელურ ღონისძიებებში.

ქსელური დიზაინის წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის მოხდა კვლევასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესების და პროცედურების სტანდარტიზაცია, შეიქმნა ამ პროცესების დეტალური აღწერები. ქსელში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ყოველკვირეულად იკრიბებოდნენ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და მეთოდოლოგიური საკითხების განსახილველად.

ინსტიტუციური ქსელის სტრუქტურა

როგორც უკვე აღინიშნა, ინსტიტუციური ქსელური მოდელი კურსდამთავრებულთა კვლევის ცენტრალური და ინსტიტუციური ფორმების ჰიბრიდულ მოდელს წარმოადგენს, სადაც, კვლევის ციკლის ყველა ეტაპი (დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი და კომუნიკაცია) მიმდინარეობს შეთანხმებულად, როგორც ცენტრალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე.

ცენტრალურ დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევას კოორდინაციას უწევდა პროფესიული უნარების სააგენტოს შესაბამისი კვლევითი ერთეული. ქსელის მაკოორდინებელი როლის გარდა, ცენტრალური ერთეულის ფუნქციაა კვლევის დიზაინის პროდუქტების საბოლოო ვერსიების შემუშავება, შესაბამისი დამხმარე მასალებისა და ინსტრუქციების შექმნა, ქსელში ჩართული ინსტიტუციების შიგნით ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა და ინსტიტუციების ტექნიკური დახმარება, ქსელური ღონისძიებების ორგანიზება, სინთეზური ანგარიშების კონცეფციის შემუშავება და სინთეზური ანგარიშის მომზადება მაკრო დონეზე.

კვლევაში ყველა პსდ-დან ჩაერთო შესაბამისი კვლევითი გუნდი ან თანამშრომელი. კვლევითი გუნდის/თანამშრომლის ფუნქციები ორ მსხვილ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

- კვლევის კოორდინაცია - წარმომადგენლობითი ფუნქცია ქსელურ მოდელში, კვლევის დიზაინის შემუშავებასა და მონაცემების დამუშავებაში მონაწილეობა, კვლევითი

ციკლის ეტაპების კოორდინირება, ინსტიტუციური ანგარიშის კონცეპტუალური მოდელის შემუშავება და ანგარიშის მომზადების კოორდინაცია.

- მონაცემების მართვა - კვლევის დიზაინის ტექნიკური საკითხების ფორმულირებაში მონაწილეობა შერჩევის, საველე სამუშაოებისა და მონაცემების შეყვანის/წმენდის პროცესის განხორციელება, შიდა აქტორებთან და რესპონდენტებთან კომუნიკაცია.

ქსელურ დონეზე შეიქმნა წარმომადგენლობითი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ინსტიტუციურ დონეზე კვლევის კოორდინატორებით და რამდენჯერმე შეიკრიბა ადმინისტრაციული და შინაარსობრივი საკითხების განსახილველად.

ქსელის დონეზე მოხდა კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებების კომუნიკაცია, საკვანძო გადაწყვეტილებების განხილვა და დამტკიცება. ქსელურ დონეზე, ასევე, განხორციელდა სტანდარტიზებული ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმირების ღონისძიებები.

კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის სტანდარტული პროცესები

კურსდამთავრებულთა კვლევის ერთი სტანდარტული ციკლის ხანგრძლივობა 6 თვეს შეადგენს და სამ ძირითად ფაზად იყოფა.

- პირველი ფაზა გულისხმობს კვლევის დიზაინსა და ინსტრუმენტებში ცვლილებების შემუშავებასა და შეთანხმებას და კვლევისათვის მნიშვნელოვანი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.
- მეორე ფაზა მთლიანად ეძღვნება საველე სამუშაოების განხორციელებას, ტექნიკურ მხარდაჭერასა და მონიტორინგს.
- მესამე ეტაპი კვლევის ციკლის ყველაზე ხანგრძლივი ეტაპია, რომელიც აერთიანებს მონაცემების შეყვანასა და ანალიზს, ისევე როგორც ორგანიზაციული და სინთეზური ანგარიშების მომზადებასა და შედეგების კომუნიკაციას.

კვლევის ფაზების პარალელურად, შეთანხმებული განრიგით რეგულარულად მიმდინარეობს ქსელის საკოორდინაციო შეხვედრები და საინფორმაციო/საკონსულტაციო ტიპის ღონისძიებები. ციკლის ბოლოში (საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკის მაგალითზე) იმართება სამუშაო შეხვედრები.

კვლევის ციკლის ყველა ფაზა, ამოცანები და შესაბამისი ვადები წინასწარ არის გაზიარებული ქსელის წევრებთან.

სქემა 4. კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი ეტაპები და განრიგი

ფაზა	ძირითადი ამოცანები	ხანგრძლივობა
1. კონცეფციის და ინსტრუმენტების შემუშავება/რევიზია კურსდამთავრებულთა კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები	<ul style="list-style-type: none"> ინსტიტუციური კვლევითი გუნდის დაკომპლექტება კოჰორტული კვლევის სტრატეგიის დაზუსტება (პროგრამების შერჩევა) მოდულების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ახალი მოდულების ფორმირება ახალი მოდულების პილოტირება საინფორმაციო და დამხმარე მასალების მომზადება კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის ფორმირება/რევიზია 	2 თვე
2. მონაცემების შეგროვება	<ul style="list-style-type: none"> მონაწილეთა მოწვევა ველის განხორციელება და მონიტორინგი ნაკლული მონაცემების მენეჯმენტი 	1 თვე
3. მონაცემების ანალიზი და შედეგების კომუნიკაცია	<ul style="list-style-type: none"> მონაცემების შეყვანა და წმენდა მონაცემების ანალიზი ანგარიშების მომზადება შედეგების კომუნიკაცია 	3 თვე

კვლევის ციკლის ჩამოთვლილ ეტაპებს მოსდევს რეფლექსიის და დაგეგმვის ფაზები, რომლებიც წინა ციკლის შედეგების შეჯამებას და მომავალი ციკლის დაგეგმვას ეთმობა.

ელექტრონული პორტალი

ელექტრონული პორტალი კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის მართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად მოიაზრება.

ერთი მხრივ ელექტრონული პორტალი წარმოადგენს მონაცემების აკუმულირებისა და შედეგების კომუნიკაციის ერთიან სივრცეს. ამ სივრცეში შესაძლებელია კურსდამთავრებულთა კვლევის ზოგადი მიზნების და მთავარი შედეგების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ასევე, კვლევის ტექნიკური დოკუმენტაციის და მონაცემთა ბაზების (ღია მონაცემების) ჩამოტვირთვა.

მეორე მხრივ ელექტრონული პორტალის ფუნქციაა, გააადვილოს კვლევის პროცესის მართვა შესაბამისი ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორებიცაა: ქსელის წევრების რეგისტრაცია და ქსელში ინფორმაციის გავრცელება, ციკლის ძირითადი პროცესებისა და ვადების მართვა, ციკლის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ატვირთვა და ჩამოტვირთვა და კვლევაში ჩართულ აქტორებს შორის კომუნიკაცია.

კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები

ცხრილი 1 აჯამებს კურსდამთავრებულთა კვლევის მოდელის ძირითად მახასიათებლებს. ამ მახასიათებლებს შორის უმნიშვნელოვანესია კვლევაზე მუშაობის ქსელური პრინციპი, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და პროფესიული უნარების სააგენტოს აქტიურ ჩართულობას მოითხოვს.

ცხრილი 1 საქართველოში კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები

კვლევის ასპექტი	სპეციფიკა
კვლევის დიზაინი	ქსელური ინსტიტუციური მოდელი
კვლევის ტიპი	კოჰორტული(ცალკეული პროგრამებისთვის შესაძლოა განხილული იქნას პანელური ვერსია)
განხორციელების ციკლი	რეგულარული (ყოველწლიური ან ორ წელიწადში ერთხელ)
ინტერვალი პროგრამის დასრულებიდან ძირითადი მეთოდი	ერთი ან ორი წელი ანკეტირება სტრუქტურირებული კითხვარით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით (დამატებით მეთოდებად შესაძლებელია გამოყენებული იქნას მეორადი მონაცემების ანალიზი და თვისებრივი მეთოდები)
მონაცემების საჯაროობა	ინსტიტუციური ანგარიშები მზადდება პსდ-ების მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით; მონაცემების გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ინდივიდუალურად ქსელის წევრების მიერ; სისტემურ ანგარიშში არ ხდება მონაცემების აგრეგირება ინსტიტუციების მიხედვით, დაცულია კონფიდენციალურობის პრინციპი.
კვლევის მასშტაბი	საგანმანათლებლო პროგრამის დონე
შერჩევა	აღწერა (კვლევაში ხდება ერთი კოჰორტის ყველა კურსდამთავრებულის მოწვევა)
ადმინისტრირების ტიპი	ელექტრონული, დისტანციური
ინსტრუმენტის სტრუქტურა	მოდულური (საბაზო (ყველასათვის საერთო მოდული) და სპეციალური მოდულები, რომლებიც საჭიროებისამებრ შემუშავდება ინსტიტუციების ან მათი ჯგუფების მიერ, პროფესიული უნარების სააგენტოს მეთოდოლოგიური დახმარებით)

კურსდამთავრებულთა კვლევის მონაწილეები

კურსდამთავრებულთა კვლევაში მოწვეული იყო 71 დაწესებულება, რომლებსაც 2022 წელს კურსდამთავრებულები ჰყავდათ, თუმცა სავსე ეტაპზე 64 დაწესებულება ჩაერთო.

2022 წელს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა სულ 7641-მა სტუდენტმა დაასრულა. ყველა მათგანი მოწვეული იყო კვლევაში მონაწილეობისათვის. ჯამურად, კვლევაში ჩაერთო 3580 კურსდამთავრებული, რაც საერთო რაოდენობის 47%-ს შეადგენს.

კურსდამთავრებულთა შედეგების დარგობრივ ჭრილში ანალიზისათვის პროფესიული უნარების სააგენტომ გასულ წელს ყველა პროგრამა 17 დარგობრივ კატეგორიაში გააერთიანა და შექმნა ე.წ. „დარგების ფუნქციური ჩამონათვალი“. აღნიშნული კლასიფიკაცია იქნა გამოყენებული 2022 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის დროს პროგრამების დაჯგუფების მიზნით. პროგრამების ამგვარ დარგობრივ კატეგორიებში გაერთიანება ერთი მხრივ ითვალისწინებს განათლების სფეროს, ხოლო მეორე მხრივ - სამუშაო ბაზრის სპეციფიკას. დარგების ჩამონათვალის შექმნისას პროფესიული უნარების სააგენტოსთვის ამოსავალს წარმოადგენდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, ისევე როგორც ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორი და დარგობრივი უნარების ორგანიზაციებთან დარგობრივ რუკებზე მუშაობის გამოცდილება (ამ ტაქსონომიების შედარებითი ანალიზი მოცემულია დანართში 2).

ცხრილში 2 მოცემულია ინფორმაცია ფუნქციური დარგების მიხედვით კურსდამთავრებულთა და რესპონდენტების განაწილების, ისევე როგორც პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობის მაჩვენებლების შესახებ.

ცხრილი 2. 2022 კურსდამთავრებულთა განაწილება მიმართულებების მიხედვით

მიმართულება	კვლევაში ჩართული რესპონდენტების რაოდენობა	სულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა	გამოკითხულთა წილი შერჩევაში (%)	კურსდამთავრებულთა წილი გენერალურ ერთობლიობაში (%)
არქიტექტურა და მშენებლობა	220	357	6%	5%
ბიზნესი და ადმინისტრირება	513	1073	14%	14%
განათლება	165	318	5%	4%
ელექტრობა (ელექტრონული მიმართულებები)	371	666	10%	9%
სილამაზის მომსახურებები	139	276	4%	4%
ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	288	605	8%	8%
მექანიკა (მექანიკური მიმართულებები)	153	349	4%	5%
ტურიზმი (სამთო გამყოლი)	26	48	1%	1%
სამთო საქმე	117	167	3%	2%
სასტუმრო, რესტორანი და კვება	271	553	8%	7%
სოფლის მეურნეობა და გარემოსდაცვითი მიმართულებები	367	626	10%	8%
სოციალური მეცნიერებები	48	79	1%	1%
ტექსტილის მომსახურებები	120	202	3%	3%
ტრანსპორტის მომსახურებები	262	872	7%	11%
ხელოვნება	125	217	3%	3%
ჯანდაცვა	395	1233	11%	16%
სულ	3580	7641		

2022 წელს გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დასრულდა 71 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საიდანაც ნახევარზე მცირედით მეტი (37) საჯარო ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაა. საჯარო დაწესებულებებში გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 78% სწავლობდა, ხოლო მეოთხედზე ნაკლები (22%) - კერძო დაწესებულებების კურსდამთავრებულია.

კვლევის მონაწილეთა საერთო რაოდენობაში მდებარეობითი სქესის წარმომადგენელთა წილი 48.4%-ს შეადგენს.

რესპონდენტთა საშუალო ასაკი 28 წელია, თუმცა კურსდამთავრებულთა ასაკობრივი დიაპაზონი ფართოა და სასკოლო ასაკიდან 79 წლამდე მერყეობს.

კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოშია დაბადებული. რესპონდენტთა 95% ეთნიკურად ქართველია. დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფებს კი აზერბაიჯანელები და სომხები მიეკუთვნებიან. რესპონდენტთა 98.2% საქართველოში ცხოვრობს. კვლევის მომენტისთვის საზღვარგარეთ მხოლოდ 67 რესპონდენტი ცხოვრობდა.

კურსდამთავრებულთა თითქმის მეოთხედი ამჟამად თბილისში ცხოვრობს. ასევე, რესპონდენტთა წილი შედარებით მაღალია აჭარასა და იმერეთში. თითოეულ ამ რეგიონში, შესაბამისად, კურსდამთავრებულთა 19% და 14% იმყოფება.

ცხრილი 3. რესპონდენტთა განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

რეგიონი	რაოდენობა	ვალიდური %
აჭარა	676	19.2%
აფხაზეთი	5	0.1%
გურია	119	3.4%
იმერეთი	501	14.3%
კახეთი	323	9.2%
ქვემო ქართლი	198	5.6%
მცხეთა-მთიანეთი	71	2.0%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	33	0.9%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	363	10.3%
სამცხე-ჯავახეთი	127	3.6%
შიდა-ქართლი	299	8.5%
თბილისი	797	22.7%
არ უპასუხა	53	1.9%

რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (98%) სკოლა საქართველოში დაამთავრა. კურსდამთავრებულთა 43%-მა სკოლა დაამთავრა სოფლად, ხოლო 57%-მა - ქალაქში.

კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა შორის 7% სოციალური დაუცველია, 4% - სსსმ პირი, 4% - იძულებით გადაადგილებული, 3% კი შშმ პირი, 6% მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსს ატარებს.

უმაღლესი განათლების მქონე პირთა წილი კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის მესამედზე მეტს (38%) შეადგენს. კვლევაში მონაწილეობის მომენტისათვის, რესპონდენტების 27% პროფესიული განათლების გარდა ფლობდა ბაკალავრის ხარისხს, 10% - მაგისტრის ხარისხს, ხოლო 1% - დოქტორის ხარისხს.


კვლევის შედეგები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მოტივაცია

კითხვარის პირველი ბლოკი კურსდამთავრებულთა სწავლის მოტივაციის საკითხებს ეხებოდა.

2022 წელს წინა წლის კვლევის შედეგების მსგავსად, რესპონდენტების უმეტესობა აცხადებს, რომ პროფესიულ პროგრამაზე სწავლისას მაღალი (45%) ან ძალიან მაღალი (40%) მოტივაცია ჰქონდათ (სქემა 5). შედეგების ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის რისკი, რომ კითხვარს უფრო მეტი ალბათობით ავსებენ მეტად მოტივირებული და მონდომებული კურსდამთავრებულები. თუმცა, ამ გარემოების გათვალისწინების შემთხვევაშიც, შედეგები კურსდამთავრებულთა სწავლისადმი მაღალ მოტივაციაზე მიგვითითებს.

სქემა 5. როგორ შეაფასებდით თქვენს სწავლის მოტივაციას პროგრამაზე სწავლის განმავლობაში (რესპონდენტების %, N= 3580)



საყურადღებოა, რომ სწავლის მოტივაციასთან მიმართებით გამოვლინდა განსხვავებები ასაკისა და სქესის ჭრილში. კერძოდ, მაშინ როცა 24 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტებიდან უფრო მეტი (89%) მიუთითებს მაღალ ან ძალიან მაღალ მოტივაციაზე 24 წელზე ნაკლები ასაკის რესპონდენტებში ეს მაჩვენებელი 79%-ს შეადგენს და ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(4, n=3580) = 85.635, p < .001$). ამასთან, კვლევის შედეგების თანახმად, მამრობითი სქესის რესპონდენტები საშუალოდ ოდნავ უფრო მაღალ მოტივაციაზე ($M=4.27$) მიუთითებენ, ვიდრე მდედრობითი სქესის რესპონდენტები ($M=4.22$). ($F=4.269, p < 0.05$).


აღსანიშნავია, რომ სოციალური სტატუსის მქონე პირებში 31% სწავლის მოტივაციას ძალიან დადებითად აფასებს, ამ სტატუსის არ მქონე პირებში კი ეს მაჩვენებელი 41%-ია ($\chi^2(1, n=3579) = 12.084, p < 0.05$). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა პროგრამის ტიპის მიხედვით.

2022 წლის კურსდამთავრებულთა კოჰორტაში წინა წლის კვლევის შედეგების იდენტურად, რესპონდენტთა უმეტესობას (92%) არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე.

ნიშანდობლივია, რომ მდედრობითი სქესის რესპონდენტებში უფრო მაღალია მათი წილი (9%) ვისაც უფიქრია სწავლის მიტოვებაზე, ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტებში (7%). ანალოგიური სურათია ასაკობრივ ჯგუფებშიც, სადაც 24 წელზე ნაკლები ასაკის მქონე რესპონდენტების უფრო დიდი წილი მიუთითებს სწავლის მიტოვების განზრახვაზე. აღნიშნული განსხვავებები სტატისტიკურად არსებითია, როგორც სქესის ($\chi^2(1, n=3580) = 6.834, p < 0.01$), ისე ასაკის ჭრილში ($\chi^2(1, n=3580) = 5.742, p < 0.05$).

მნიშვნელოვანია, რომ სწავლის მიტოვებაზე ფიქრის ყველაზე ხშირ მიზეზად რესპონდენტები პროგრამის მათ მოლოდინებთან შეუსაბამობას ასახელებენ (28%). ასევე, საკმაოდ ხშირად რესპონდენტები ოჯახურ მიზეზებზე (26%) და სწავლის პარალელურად დასაქმებაზე (19%) მიუთითებენ. აღნიშნული მიზეზები გასულ წელს დასახელებული მიზეზების მსგავსია, თუმცა წელს გასული წლისგან განსხვავებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად გამოიკვეთა პსდ-ში ტრანსპორტირების პრობლემა, რასაც რესპონდენტების 18% სწავლის მიტოვების განზრახვის მიზეზებად ასახელებს. ყველაზე იშვიათად კი რესპონდენტები სწავლის გადასახადთან დაკავშირებულ ფინანსურ პრობლემებზე მიუთითებენ (სქემა 6).

სქემა 6. სწავლისთვის თავის დანებების განზრახვის მიზეზების განაწილება (რესპონდენტების %, N=285)




დასახელებულ მიზეზებში ჩვენთვის საინტერესო იყო გვეჩვენა შესაძლო განსხვავებები სხვადასხვა ჭრილის (რესპონდენტის სქესის და ასაკის) მიხედვით. თუმცა ანალიზისას განსხვავებები არცერთ ჭრილში გამოვლინდა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნული პრობლემები ეხება ყველა ჯგუფს.

რესპონდენტების სწავლის მოტივაციის შესაფასებლად, მათ ვთხოვეთ მნიშვნელოვნების მიხედვით შეეფასებინათ პროგრამაზე ჩაბარების მიზეზები. საინტერესო ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ წინა წლის მსგავსად რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებულ მიზეზს (86%) საგანმანათლებლო პროგრამისადმი ინტერესი წარმოადგენს.

ასევე აქტუალურ მიზეზად რჩება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაცია (81%). წინა წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ღია კითხვების შედეგების გათვალისწინებით წლებიდან კითხვარში დაემატა სამი მიზეზი: კარიერული განვითარების (დაწინაურების) შესაძლებლობა, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადება და უფასო სწავლა. როგორც ჩანს აღნიშნული ალტერნატივებიდან ორი - უფასო სწავლა (83%) და კარიერული განვითარების (დაწინაურების) შესაძლებლობა (77%) რესპონდენტებისთვის პროგრამაზე ჩაბარების გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს. წელსაც, წინა წლის მსგავსად სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობას, ისევე როგორც მშობლებისა და ახლობლების რჩევას (სქემა 7).

სქემა 7. ჩამოთვლილი მიზეზებიდან, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული მათგანი პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარებისას? (რესპონდენტების %, N=3580)



საინტერესოა, რომ მართალია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობა შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან მიზეზებს შორის დასახელდა, თუმცა თბილისისა და რეგიონის დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შედარებისას ჩანს, რომ რეგიონში მდებარე დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 73%-სთვის ეს მიზეზი მნიშვნელოვანი იყო ჩაბარების გადაწყვეტილების მიღებისას, თბილისის დაწესებულებების რესპონდენტების კი მხოლოდ 52%-სთვის იყო ეს გარემოება მნიშვნელოვანი. აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(10, n=3580) = 184.936, p < 0.001$).

რაც შეეხება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების შესაძლებლობას, აღნიშნული მიზეზი რესპონდენტების მთლიანი ჯგუფისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუმცა მამრობითი სქესის წარმომადგენელი 24 წელზე ნაკლები ასაკის რესპონდენტებში თითქმის ყოველი მეორე (45%) აცხადებს, რომ მათთვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის

გადავადების შესაძლებლობა ჩაბარების გადაწყვეტილების მიღებისთვის მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აღნიშნული მაჩვენებელი სტატისტიკურად არსებითად აღემატება 24 წელზე უფროსი ასაკის ჯგუფის მაჩვენებელს ($\chi^2 (5, n = 1847) = 563.723, p < 0.001$).

კვლევის კიდევ ერთ საინტერესო მიგნებას წარმოადგენს ის, რომ პროგრამის არჩევისას კურსდამთავრებულთათვის დასაქმების მაღალ ალბათობაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო შინაგანი მოტივაციის ფაქტორები. თუმცა თავად დასაქმების მაღალი ალბათობა სხვადასხვა ჭრილში განსხვავებულად შეფასდა, კერძოდ, აღნიშნული მიზეზი მამრობითი სქესის რესპონდენტებში უფრო მნიშვნელოვნად დასახელდა (75.1%) ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში (71%). ($\chi^2 (5, n = 3580) = 13.408, p < 0.05$). განსხვავებული შედეგები დაფიქსირდა დარგების მიხედვითაც, კერძოდ, დასაქმების მაღალი შანსი უფრო მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა ელექტრობისა (80%) და სამთო საქმის (86%) დარგების პროგრამების კურსდამთავრებულებში, ხოლო სამთო გამყოლის, ხელოვნებისა და სოციალური მიმართულების დარგებში ეს მიზეზი ნაკლები მნიშვნელოვნებით გამოირჩეოდა. კურსდამთავრებულებს, ასევე, შესაძლებლობა ჰქონდათ, თავად ჩამოეთვალათ პროგრამაზე სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანი ფაქტორები. სხვა მიზეზებს შორის რესპონდენტებმა დაასახელეს: უკვე არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავება, ახალი ადამიანების, კოლეგების, პროფესიონალების გაცნობის შესაძლებლობა, პრაქტიკისა და თეორიული ცოდნის შეთავსება, უწყვეტი კარიერული ზრდისა და სწავლის შესაძლებლობა. აღნიშნული მიზეზები წინა წლის კურსდამთავრებულთა მიერ დასახელებულ მიზეზების მსგავსია.


სასწავლო პროცესი და სტუდენტების მხარდაჭერა

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განზომილებას კურსდამთავრებულთა მიერ სასწავლო პროცესისა და ორგანიზაციული ასპექტების შეფასება წარმოადგენდა. სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარე შეფასებისაგან განსხვავებით, კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ჰქონდათ რეტროსპექტულად, მთლიანობაში შეეფასებინათ პროგრამაზე სწავლის გამოცდილება.

სწავლების მეთოდები და მიდგომები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების მეთოდების მრავალფეროვნებისა, მნიშვნელოვნებისა და ეფექტიანობის შესაფასებლად რესპონდენტებს ვთხოვეთ ხუთქულიან სკალაზე განესაზღვრათ, რამდენად იყო მათი სწავლის დროს გამახვილებული ყურადღება ისეთ ასპექტებზე, როგორცაა ფრონტალური სწავლება, პრაქტიკული მეცადინეობები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა (სქემა 8).

სქემა 8. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას, რამდენად იყო გამახვილებული ყურადღება სწავლა-სწავლების ქვემოთ ჩამოთვლილ ასპექტებზე? (რესპონდენტების %, N=3580)



კურსდამთავრებულები სწავლების ძირითად მეთოდებად ლექციებს, პრაქტიკული მეცადინეობებს, ჯგუფური და წერით სამუშაოებს ასახელებენ. სწავლების პროცესში გამოყენებული სხვა მეთოდების შეფასებიდან კი ირკვევა, რომ ელექტრონული სწავლება და პროექტზე/პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება გამოწვევას წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ ელექტრონული სწავლების მეთოდის შესახებ გამოკითხულთა 7%-ს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ან არ ჰქონია შეხება, 6% კი მას უარყოფითად აფასებს.

აღნიშნული შედეგები წინა წლის ტენდენციის მსგავსია, რაც საერთო ჯამში მიგვანიშნებს სწავლების პროცესის გამრავალფეროვნების საჭიროებას პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომებით. სწავლების მეთოდებთან დაკავშირებულ ყველაზე საყურადღებო მიგნებას კი ელ. ტექნოლოგიების უფრო ეფექტურად გამოყენების აუცილებლობა წარმოადგენს.

სასწავლო გარემო და რესურსები

სასწავლო გარემოსა და რესურსების კომპონენტში კურსდამთავრებულთა მოსაზრებები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სხვადასხვა სერვისისა და რესურსის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ მიზნით, რესპონდენტებს ვთხოვეთ, ხუთქულიან სკალაზე შეეფასებინათ ეს ასპექტები, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან უარყოფით შეფასებას, ხოლო 5- ძალიან დადებითს (სქემა 9).


კურსდამთავრებულების ყველაზე დიდი ნაწილი (87%) ძალიან დადებითად აფასებს მასწავლებლებთან კონსულტაციის შესაძლებლობასა და მასწავლებლების კვალიფიკაციას. ასევე, რესპონდენტების 75%-ზე მეტი ძალიან დადებითად აფასებს სტუდენტების

კომუნიკაციას ერთმანეთთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ზოგად კეთილმოწყობას, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობასა და სწავლების ხარისხს.

კურსდამთავრებულთა შეფასებებით ირკვევა, რომ სტუდენტების ჩართულობასთან და დაწესებულების პოლიტიკაზე ზეგავლენის შესაძლებლობის კუთხით, კურსდამთავრებულების დაახლოებით მეოთხედს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ან უარყოფითად აფასებს ამ ასპექტებში სტუდენტების ჩართულობის საკითხს.

კვლევის კიდევ ერთ საინტერესო მიგნებას წარმოადგენს ის, რომ კურსდამთავრებულები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას ან ნაკლებად კმაყოფილები არიან ექსტრაკურსულური აქტივობებით, თუმცა აქ გასათვალისწინებელია რომ 2022 წლის კურსდამთავრებულებს ნაკლებად მოუწიათ პსდ-ებში ექსტრაკურსულური აქტივობებში ჩართულობა.


სქემა 9. როგორ შეაფასებთ სასწავლო გარემოსა და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ქვემოთ წარმოდგენილ ასპექტებს? (რესპონდენტების %, N=3085)



ასევე, კურსდამთავრებულები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა (14%) და რამდენად ადაპტირებულია დაწესებულება შშმ/სსსმ პირებისათვის (11%). (სქემა 10).

თუმცა, კვლევაში მონაწილე სსსმ და შშმ სტატუსის მქონე რესპონდენტები დადებითად აფასებენ დაწესებულების ადაპტირებულობას შშმ/სსსმ პირებისთვის, კერძოდ, რესპონდენტების სამი მეოთხედი დაწესებულებას ამ კრიტერიუმის მიხედვით ძალიან დადებითად აფასებს (სქემა 10). ამ შედეგის ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია ის, რომ ზოგადად კურსდამთავრებულები, მათ შორის სსსმ/შშმ პირები სავარაუდოდ ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას ადაპტირების სტანდარტების შესახებ.

სქემა 10. შშმ/სსსმ პირების მიერ დაწესებულების ადაპტირებულობის შეფასება (რესპონდენტთა %, N=162)



ნიშანდობლივია, რომ კურსდამთავრებულების მიერ დასახელებული გამოწვევები წინა წლის კვლევის შედეგების ტენდენციას იმეორებს და როგორც ჩანს დაწესებულებების პოლიტიკაში სტუდენტების ჩართულობის სურვილი კურსდამთავრებულებში დიდია. ასევე დაბალია არაფორმალური განათლებისა და ინკლუზიური სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონე.

კურსდამთავრებულებისა და პსდ-ის შორის კავშირი (რეალობა და პერსპექტივები)

სტუდენტების მხარდაჭერის ბლოკში მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან კურსდამთავრებულის კავშირი, ამისთვის რესპონდენტებს შევეკითხეთ მათ პსდ-სთან ურთიერთობის გამოცდილებისა და ამ კომუნიკაციის სამომავლო პერსპექტივების შესახებ. კურსდამთავრებულთა პასუხებიდან ირკვევა, რომ 23% საერთოდ არ აქვს კონტაქტი დაწესებულებასთან, თუმცა მომავალში თანამშრომლობის სურვილზე უარს გამოკითხულთა მხოლოდ 5% ამბობს. ამ ეტაპისათვის

ურთიერთობის ძირითად ფორმას ელ. ფოსტა და კურსდამთავრებულთა შეხვედრები წარმოადგენს. პსდ-ების უმეტესობაში არ ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა კლუბები.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და თავად კურსდამთავრებულების მუდმივი განვითარების მიზნით ამ ორ მხარეს შორის კავშირის დიდი პოტენციალი არსებობს. კურსდამთავრებულების დაახლოებით ნახევარი (49%) გამოთქვამს სურვილს, ჩაერთოს სწავლებასა და კონსულტაციებში, ხოლო მესამედზე მეტს სურს ესწრებოდეს კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს (39%).

აღსანიშნავია, რომ წინა წლის კურსდამთავრებულებთან შედარებით შემცირებულია ისეთი რესპონდენტების წილი, ვისაც საერთოდ არ აქვს დაწესებულებასთან კავშირი, თუმცა საყურადღებოა, რომ 24 წელზე დაბალი ასაკის მქონე ჯგუფში რესპონდენტთა მეოთხედზე მეტს არ აქვს კავშირი პსდ-სთან, მაშინ როცა 24 წელზე დიდი ასაკის ჯგუფში, რესპონდენტების თითქმის მეხუთედი აცხადებს, რომ არ აქვს კავშირი დაწესებულებასთან. ამასთან, კავშირის სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებითაც სურვილს შედარებით მაღალი ასაკის რესპონდენტები უფრო გამოთქვამენ, ვიდრე 24 წელზე ნაკლები ასაკის. ორივე ასაკობრივ კატეგორიაში მნიშვნელოვან საკომუნიკაციო წყაროდ პროფესიული თანამშრომლობა და ელ.ფოსტის გამოყენებაა დასახელებული.

ცხრილი 4. კომუნიკაციის ფორმები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

	ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის კონტაქტი/კავშირი გაქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ამჟამად? (პასუხების N=4986)	ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის კონტაქტი/კავშირი გსურთ გქონდეთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან? (პასუხების N=5536)
	რესპონდენტების %	რესპონდენტების %
ელექტრონული ფოსტით მიმოწერა	34%	35%
კურსდამთავრებულთა შეხვედრები	33%	39%
პროფესიული თანამშრომლობა (კონსულტაციები, სწავლება და სხვა)	28%	49%
კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ჯგუფის წევრობა	22%	28%
არ მაქვს/ არ მსურს მქონდეს კავშირი პროფესიულ დაწესებულებასთან	23%	5%

დასაქმების ხელშეწყობის სერვისები

ბლოკის დასკვნით ნაწილში კურსდამთავრებულებმა ისევ ხუთქულიან სკალაზე შეაფასეს სერვისები, რომლებიც დასაქმების ხელშეწყობას უკავშირდებოდა.


2020-2021 წლების კურსდამთავრებულთა კვლევის მსგავსად კარიერის მართვის სპეციალისტთან კონსულტაციას კურსდამთავრებულთა ნახევარზე ოდნავ მეტი აფასებს ძალიან დადებითად. ასევე, დაწესებულების მიერ შეთავაზებული სხვა სერვისებთან შედარებით, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, დაბალია კურსდამთავრებულთა მიერ სტაჟირების გამოცდილების და დასაქმების ძიების პროცესში დახმარების შეფასებები (სქემა 11).

დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შეფასებისას ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ჭრილების (სქესის და ასაკის) მიხედვით შესაძლო განსხვავებების შესწავლა. როგორც შედეგები მიუთითებს, სასწავლებლის მხრიდან დასაქმების ძიების პროცესში დახმარებას უფრო დადებითად მამრობითი სქესის რესპონდენტები (80%) აფასებენ ვიდრე მდედრობითი სქესის (75%). ასევე 24 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტების უფრო დიდი წილი (10%) აღნიშნავს, რომ საერთოდ არ ჰქონია აღნიშნული სერვისის შესახებ ინფორმაცია, ვიდრე 24 წელზე ნაკლები ასაკის (6%). ორივე განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($p < 0.05$).

ასაკის ჭრილში მსგავსი ტენდენციაა კარიერის მართვის სპეციალისტთან კონსულტაციის მიმართულებით, კერძოდ 24 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტების უფრო დიდი წილი (18%) მიუთითებს რომ არ სმენიათ ან არ უსარგებლიათ ამ სერვისით, ვიდრე ნაკლები ასაკის რესპონდენტები (14%). ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2 (5, n = 3580) = 17.342, p < 0.01$).

სქესის ჭრილში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა, სტაჟირების შესაძლებლობების ძიების პროცესში მხარდაჭერაშიც და აქაც, დასაქმების მსგავსად მამრობითი სქესის წარმომადგენლების უფრო დიდი წილი მიუთითებს აღნიშნული სერვისების შესახებ ინფორმაციის/გამოცდილების ქონასა და კმაყოფილებას, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლები.

სქემა 11. როგორ შეაფასებთ დაწესებულების მხრიდან შეთავაზებულ ქვემოთ ჩამოთვლილ სერვისებს? (რესპონდენტების %, N=3580)



კომპეტენციები

კურსდამთავრებულთა კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო ნაწილი კურსდამთავრებულების კომპეტენციების შეფასებაა. ერთი მხრივ, კომპეტენციების განვითარება სასწავლო პროგრამის პირდაპირი შედეგია. მეორე მხრივ, სწავლისას შეძენილი კომპეტენციები წარმატებული კარიერული განვითარების საფუძველია.

კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება (Competence-based education (CBE)) პროფესიული განათლების საკვანძო კონცეფციას წარმოადგენს, ხოლო კომპეტენციების ეფექტიანად გაზომვა CBE მოდელის წარმატებით განხორციელების მთავარი პირობაა.


თანამედროვე CBE მოდელის ძირითად იდეას წარმოადგენს ის, რომ კომპეტენციის ცალკეული ასპექტის (ცოდნა, უნარები, დამოკიდებულებები) ცალ-ცალკე გაზომვა მნიშვნელობას მოკლებულია - კომპეტენციების ეს ასპექტები უნდა შეფასდეს კომპლექსურად, რადგან კომპეტენცია წარმოადგენს ამ სამი ასპექტის სინთეზურ გამოვლინებას პრაქტიკაში - სპეციფიკურ პროფესიულ ან ცხოვრებისეულ კონტექსტში¹⁷. შესაბამისად, კურსდამთავრებულთა კვლევა კომპეტენციების შეფასებისთვის ერთ-ერთი საინტერესო წყაროა, რადგან ყოფილი სტუდენტები პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, რეტროსპექტულად აფასებენ სწავლის პროცესში შეძენილ ცოდნასა და უნარებს.

შედეგები აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულების უმრავლესობა აფიქსირებს, რომ სწავლისას ყველაზე კარგად სხვა ადამიანებთან მუშაობის უნარი განივითარეს, ასევე რესპონდენტების 75% მიუთითებს, რომ საფუძვლიანად განივითარა პროფესიული უნარები (76%) და პროფესიული ცოდნა (75%). თუმცა, წინა ორი წლის კოჰორტების ანალოგიურად კვლავ პრობლემურად რჩება სწავლის პროცესში ე.წ. ტრანსფერული უნარების - უცხო ენისა და კომპიუტერული უნარების განვითარება (სქემა 12). გამოკითხულთა მხოლოდ ნახევარი ამბობს (49%), რომ უცხო ენის კომპეტენცია საფუძვლიანად განივითარა, 7%-მა კი ეს უნარი საერთოდ ვერ განივითარა სწავლის პროცესში.

კურსდამთავრებულთა დაახლოებით მესამედი თვლის, რომ ნაკლებად შეძლო ახალი იდეების გენერირების და შემოქმედებითი უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, განსხვავებულ, სტრესულ პირობებთან ადაპტაციის უნარის განვითარება, რაც აგრეთვე წინა წლის შედეგების ტენდენციას იმეორებს.

17 Brockmann, M., Clarke, L., Méhaut, P., & Winch, C. (2008). Competence-based vocational education and training (VET): The cases of England and France in a European perspective. *Vocations and Learning*, 1(3), 227-244.

სქემა 12. რამდენად შეიძინეთ/განივითარეთ ქვემოთ წარმოდგენილი უნარები/კომპეტენციები სწავლის პროცესში? (რესპონდენტების %, N=3580)



საინტერესოა, რომ 24 წელზე ნაკლები ასაკის რესპონდენტების უფრო დიდი წილი (52%) აღნიშნავს რომ საფუძვლიანად განვივითარა უცხო ენის კომპეტენცია, ვიდრე უფრო მაღალი ასაკის მქონე პირები აღნიშნავენ (47%). ($\chi^2(4, n=3580)=10.089, p<0.05$). ასევე, უცხო ენის საფუძვლიანად განვითარებას ყველაზე მეტად ტრანსპორტის მომსახურებების და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების კურსდამთავრებულები აღნიშნავენ.


სწავლით კმაყოფილების ზოგადი შეფასება

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ზოგადი შეფასებები 2020-2021 წლის კურსდამთავრებულების მსგავსად, 2022 წლის კოჰორტაშიც ძირითადად მაღალი ან ძალიან მაღალია - რესპონდენტების 93% ძალიან კმაყოფილია ან კმაყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით. ამასთან, გამოკითხულთა დაახლოებით 80% სრულიად დარწმუნებულია, რომ არჩევანის ხელმეორედ გაკეთების შემთხვევაში, კვლავ აირჩევდა იგივე პროგრამასა და საგანმანათლებლო დაწესებულებას (სქემა 13).


აქვე აღსანიშნავია, რომ კვლავ შენარჩუნებულია წინა წლის ტენდენცია და 24 წელზე მეტი ასაკის მქონე რესპონდენტებს შორის უფრო დიდია იმ ადამიანთა წილი, ვინც კმაყოფილია ან სრულიად კმაყოფილია პროფესიულ პროგრამაზე სწავლით (95%) ($\chi^2(2, n=3580)=23.609, p<0.001$) და, შესაბამისად, მეტად დარწმუნებულიც, რომ ისევ იმავე პროგრამას (93%) ($\chi^2(2, n=3580)=64.788, p<0.001$) და დაწესებულებას (93%) ($\chi^2(2, n=3580)=31.393, p<0.001$) აირჩევდნენ, ვიდრე 24 წელზე ნაკლები ასაკის გამოკითხული კურსდამთავრებულები, სადაც იგივე მაჩვენებლები, შესაბამისად, (91%, 85%, 87%-ს) შეადგენს.

სურათი 13. სწავლის გამოცდილების რეტროსპექტული შეფასება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (რესპონდენტების %, N=3162).

ა. წარსულში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ იგივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აირჩევდით?




ბ. წარსულში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ იგივე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩააბარებდით?



დარგების მიხედვით პროგრამაზე სწავლით ზოგადი კმაყოფილების შეფასებისას სტატისტიკურად არსებითი განსხვავება ზოგიერთ სფეროში გამოვლინდა, კერძოდ, სხვა მიმართულებებთან შედარებით პროგრამის ხარისხით უკმაყოფილონი არიან ხელოვნების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, ტურიზმის და სასტუმრო, რესტორნის და კვების მიმართულებების კურსდამთავრებულები, ხოლო განსაკუთრებით კმაყოფილები არიან განათლების, სამთო საქმის, ჯანდაცვისა და ელექტრობის მიმართულებით პროგრამების კურსდამთავრებულები ($F=3.974, p<0.001$). ზოგადი კმაყოფილების ეს სურათი წინა ორი წლის კოჰორტების მსგავსი ტენდენციისა, თუმცა წელს ელექტრობისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულების პროგრამებზე განსაკუთრებით გაზრდილია ეს მონაცემი.

სქემა 14. რესკონდენტების მიერ პროგრამაზე სწავლით კმაყოფილების შეფასება დარგების მიხედვით (საშუალო მაჩვენებელი, 5 ძალიან მაღალი შეფასება), N=3580



ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა დაწესებულების ტიპის მიხედვით, კერძოდ, პროგრამით ძალიან კმაყოფილების წილი უფრო დაბალია საჯარო დაწესებულებების კურსდამთავრებულებში (78%), ვიდრე კერძო დაწესებულებების

კურსდამთავრებულებში (84%) ($\chi^2(8, n = 3580) = 16.850, p < 0.05$). ასევე ზოგადად სწავლით ძალიან კმაყოფილი კურსდამთავრებულთა წილი უფრო ნაკლებია დუალური ტიპის პროგრამებზე (68%), დანარჩენი ტიპის პროგრამებთან შედარებით (80%). ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(8, n = 3580) = 29.267, p < 0.001$). თუმცა, იმ კურსდამთავრებულების წილი, რომლებიც მიუთითებდნენ რომ კმაყოფილები ან ძალიან კმაყოფილები არიან, ჯამურად დუალურ პროგრამებზე უფრო მეტია (96%), ვიდრე მოდულურ პროგრამებზე (89%).


კურსდამთავრებულთა დასაქმება და სამუშაოს მახასიათებლები

დასაქმების ზოგადი მაჩვენებლები

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები ბოლო 6 წლის მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს და 2022 წლის კურსდამთავრებულთა კოჰორტაში ის პროფესიულ განათლებაში რეკორდულ მაჩვენებელს - 81%-ს აღწევს.

2022 წლის კოჰორტაში გამოკითხულთა 40%-მა აღნიშნა, რომ ამჟამად მუშაობს პროფესიით, 12% კი თვითდასაქმებულია საკუთარი პროფესიით, ყოველი მესამე რესპონდენტი კი, აფიქსირებს, რომ დასაქმებულია სხვა მიმართულებით. რესპონდენტთა 19% ამჟამად არ არის დასაქმებული. საკუთარი პროფესიით დასაქმების უკანასკნელი 3 წლის ანალიზს თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ 2022 წლის კოჰორტაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი, ხოლო დაუსაქმებელთა წილი 2020 წლის კოჰორტასთან შედარებით თითქმის განახევრებულია.


სურათი 15. დასაქმების მაჩვენებლები 2023 წელს და სამი წლის სტატისტიკა (რესპონდენტების %, N=3580)*



*რესპონდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ რამდენიმე სტატუსი, სწორედ ამიტომ სხვა მიმართულებით დასაქმების ზუსტი მაჩვენებლის გამოთვლა შეუძლებელია.

მონაცემების დროის უფრო ფართო ჭრილში ანალიზი აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები გაზრდილია ყველა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ, კურსდამთავრებულთა დასაქმების საერთო მაჩვენებელი 2019 წლის ვარდის შემდეგ 2020 წელს 2018 წლის ნიშნულს დაუბრუნდა (60%), 2021 წელს კვლავ გაიზარდა (74%) და 2022 წლის კოჰორტაში წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია (81%).

სქემა 16. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები წლების მიხედვით




წყარო: 2017-2021 წლების კურსდამთავრებულთა კვლევების ანგარიშები <https://mes.gov.ge/content.php?id=5962&lang=geo> ; <https://shorturl.at/jvBKN>

დასაქმების შესახებ უფრო სრულყოფილი წარმოდგენის შექმნისთვის მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა **სწავლის დაწყებამდე** სამუშაო სტატუსის მონაცემების გაანალიზება. კერძოდ, კურსდამთავრებულები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ პროგრამაზე დაწყებამდე უმუშევრები იყვნენ (N=1224), მათი 60% აღნიშნავს, რომ პროგრამაზე სწავლისას/სწავლის შემდეგ ისინი დასაქმდნენ, ხოლო 40% აღნიშნავს, რომ კვლავ დაუსაქმებელია. სწავლის დაწყებამდე დაუსაქმებელთა სქესისა და ასაკის განაწილება, პროგრამის დასრულების შემდგომ დაუსაქმებელთა ტენდენციის მსგავსია. კერძოდ, 24 წელზე ნაკლები ასაკის რესპონდენტებში დაუსაქმებელ პირთა რაოდენობა ნახევარს შეადგენდა, ხოლო უფროსებში უმუშევრები - გამოკითხულთა მეოთხედს ($\chi^2 (1, n = 3580) = 169.686, p < 0.001$). ასევე ქალების უფრო დიდი წილი (40%) იყო დაუსაქმებელი, ვიდრე კაცების (29%). ($\chi^2 (1, n = 3580) = 42.726, p < 0.001$). აღსანიშნავია, რომ ეს განსხვავებები ასაკისა და სქესის ჭრილში სტატისტიკურად არსებითია.

ასაკის და სქესის ჭრილებში განსხვავება მსგავსია სწავლის დაწყებამდე დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა განაწილებაშიც. კერძოდ, ქალებისა და 24 წელზე ქვემოთ ასაკის რესპონდენტებში უფრო ნაკლებია დასაქმების/თვითდასაქმების მაჩვენებლები.

რაც შეეხება დარგებს, დაუსაქმებელთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ინფორმაციისა და ტექნოლოგიების, სილამაზის მომსახურებების, სოციალური მეცნიერებების, ტექსტილის წარმოებისა და ხელოვნების მიმართულებების პროგრამის კურსდამთავრებულებს ჰყავდათ. ($\chi^2(16, n=3580) = 143.348, p < 0.001$).

სქემა 17. დაუსაქმებელთა განაწილება დარგების მიხედვით პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და სწავლის დასრულების მომენტისთვის



ამ იმედისმომცემ სურათთან ერთად საგულისხმოა დასაქმების საერთო მაჩვენებლის მიღმა არსებული მნიშვნელოვანი დეტალები და ჯგუფებს შორის განსხვავებები.

განსხვავებების პირველი ჯგუფი კურსდამთავრებულის მახასიათებლების დასაქმებასთან კავშირზე მიგვანიშნებს. კერძოდ:


- საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი უფრო დაბალია ახალგაზრდებში - 24 წელზე უმცროსი კურსდამთავრებულების 36% იმავე პროფესიით მუშაობს, რომელზეც ისწავლა, ხოლო 24 წელზე უფროს კურსდამთავრებულებში ეს მაჩვენებელი 43%-ია. ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2 (1, n = 3580) = 16.056, p < 0.001$). ასაკობრივი სხვაობები არამარტო საკუთარი პროფესიით, არამედ სხვა მიმართულებით დასაქმებაშიც გვხვდება. კერძოდ, 24 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტების 34% სხვა მიმართულებითაა დასაქმებული, ხოლო 24 წლამდე ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს. ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია. ($\chi^2 (1, n = 3580) = 7.227, p < 0.01$). შესაბამისად არცაა გასაკვირი, რომ 24 წელზე ნაკლები ასაკის რესპონდენტების მეოთხედი უმუშევარია, როცა უფროსი ასაკის რესპონდენტებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 14%-ია. ($\chi^2 (1, n = 3580) = 73.422, p < 0.001$).
- საყურადღებოა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები გამოვლინდა სქესის ნიშნითაც. კერძოდ, ქალების 37%-ია საკუთარი პროფესიით დასაქმებული და მამაკაცებიდან კი საკუთარი პროფესიით დასაქმებულთა წილი 43%-ს შეადგენს ($\chi^2 (1, n = 3580) = 14.611, p < 0.001$). მსგავსი სურათია საკუთარი პროფესიით თვითდასაქმების მიმართულებითაც, კერძოდ მამაკაცების 16% საკუთარი პროფესიით თვითდასაქმებულია, ქალების კი მხოლოდ 8% აღნიშნავს, რომ საკუთარი ბიზნესი აქვს ან ფრილანსერულ საქმიანობას ეწევა. ($\chi^2 (1, n = 3580) = 48.262, p < 0.001$). ანალოგიურად სხვა მიმართულებით თვითდასაქმებულთა წილი უფრო მაღალია მამრობითი სქესის რესპონდენტებში. დაუსაქმებელთა წილი ქალებში 24%-ს შეადგენს, კაცებში კი 14%-ს. ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2 (1, n = 3580) = 58.224, p < 0.001$).
- წინა 2 წლის კოჰორტების მსგავსად, 2022 წლის სოციალურად დაუცველ კურსდამთავრებულთა 32% დაუსაქმებელია, განსხვავებით არა სოციალურად დაუცველებისა, სადაც დაუსაქმებელთა მაჩვენებელი 18%-ია ($\chi^2 (1, n = 3579) = 229.900, p < 0.001$).

დასაქმების სტატუსის მიხედვით განსხვავებების მეორე ჯგუფი პროგრამისა და დაწესებულების ტიპს მიემართება:

- პროფესიით დასაქმების მაჩვენებლები უფრო მაღალია დუალურ პროგრამებზე. დუალური პროგრამის კურსდამთავრებულების 60% დასაქმებულია იმ პროფესიით, რომელსაც დაეუფლა. ხოლო სხვა მოდულური პროგრამების კურსდამთავრებულებში ეს რიცხვი მხოლოდ 39%-ია ($\chi^2 (1, n = 3580) = 28.104, p < 0.001$). აგრეთვე დუალური პროგრამის კურსდამთავრებულების მხოლოდ 10%-ია დაუსაქმებელი, სხვა მოდულური პროგრამების კურსდამთავრებულების კი - 20%. ($\chi^2 (1, n = 3580) = 9.470, p < 0.01$)

- კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები (51%) უფრო მეტად საქმდებიან იმავე პროფესიით, რომელსაც დაეუფლნენ, ვიდრე საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულები (37%) ($\chi^2 (1, n = 3580) = 53.916, p < 0.001$).
- სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა დარგების მიხედვითაც. კერძოდ, დარგების მიხედვით საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი 25%-დან 56%-მდე მერყეობს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამთო საქმის, ჯანდაცვის, განათლების, სასტუმრო, რესტორანი და კვების და არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულებების პროგრამებზე დასტურდება. დაბალი მაჩვენებლები კი დაფიქსირდა სილამაზის მომსახურებებისა და ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებების კურსდამთავრებულებში. ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2 (16, n = 3580) = 142.317, p < 0.001$). რაც შეეხება სხვა მიმართულებით დასაქმებას, აქ სურათი საპირისპიროა, კერძოდ, ბიზნესისა და ადმინისტრირებისა და სამთო საქმის კურსდამთავრებულთა 40% სხვა მიმართულებითაა დასაქმებული. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დასაქმების ამ ტიპზე ჯანდაცვის და ტექსტილის წარმოების კურსდამთავრებულებს აქვთ, რომელთა მეხუთედზე ნაკლები არის სხვა მიმართულებით დასაქმებული ($\chi^2 (16, n = 3580) = 77.502, p < 0.001$). დარგებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა უმუშევრობის მიმართულებითაც. კერძოდ დაუსაქმებელთა ყველაზე დიდი პროცენტული წილი ბიზნესისა და ადმინისტრირების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, სილამაზის მომსახურებების, სოციალური მეცნიერებებისა და ჯანდაცვის მიმართულების პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ. ამ მიმართულებების კურსდამთავრებულთა 25-30%-ს დაუსაქმებელი პირები შეადგენენ. რაც შეეხება დაუსაქმებელთა ყველაზე დაბალი წილის მქონე მიმართულებებს, ესენია: სამთო საქმის, სამთო გამყოლისა და არქიტექტურა და მშენებლობის მიმართულებები, სადაც დაუსაქმებელთა წილი 4-9%-მდე მერყეობს ($\chi^2 (16, n = 3580) = 108.924, p < 0.001$).

სქემა 18. კურსდამთავრებულთა საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებლები დარგების მიხედვით, 2022წ.



სამუშაოს მახასიათებლები

კვლევის ფარგლებში, ასევე, გვანტერესებდა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაოს კონკრეტული მახასიათებლები. კერძოდ, დასაქმების ფორმა (დაქირავებით დასაქმება, თვითდასაქმება), რანგი, ხელფასი, მიმდინარე სამუშაოზე დაწინაურების ფაქტები. ასევე, დამატებით დაზუსტდა დამსაქმებელი ორგანიზაციის სტატუსი (კერძო, საჯარო, არასამთავრობო, სხვა) და დამსაქმებელი ორგანიზაციის ზომა.

დასაქმებულთა 68% იმავე რეგიონში მუშაობს, სადაც დაამთავრა პროგრამაზე სწავლა.


გასული წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალოგიურად, 2022 წლის კოჰორტის გამოკითხული რესპონდენტებიდან აბსოლუტურ უმრავლესობას (82%) არ აქვს საზღვარგარეთ სამუშაოს ძიების, მუშაობის ან სტაჟირების გამოცდილება. უფრო კონკრეტულად, 65%-ს არც ჰქონია მცდელობა, ხოლო 17%-ს არ აქვს გამოცდილება, თუმცა ჰქონია მცდელობა, ემუშავა საზღვარგარეთ. საინტერესოა, რომ 24 წელზე ნაკლები ასაკის რესპონდენტებში უფრო დიდია წილი (21%), ვისაც ჰქონია საზღვარგარეთ მუშაობის მცდელობა, ვიდრე 24 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტებში (14%). ($\chi^2(1, n=3580) = 23.679, p < 0.001$) მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის ინფორმაციის მიხედვით, კვლევაში მონაწილეობისთვის

იმ რესპონდენტთა მოწვევა, რომლებიც ამჟამად საზღვარგარეთ არიან, ზოგადად რთული იყო. შესაბამისად, დაბალი მაჩვენებლები ამ მიმართულებით შესაძლოა კურსდამთავრებულებთან დაკავშირების შეზღუდვებით არის განპირობებული.

რაც შეეხება მათ, ვისაც ჰქონია საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება, ასეთი რესპონდენტები უფრო დიდი წილით არიან წარმოდგენილნი მამაკაცებში (27%), ვიდრე ქალებში (15%) ($\chi^2(1, n=3580) = 81.053, p < 0.001$). საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება სხვა მიმართულების პროგრამების კურსდამთავრებულებთან შედარებით ყველაზე მეტად მექანიკის (29%), სამთო საქმის (28%), სამთო გამყოლისა (27%) და ტრანსპორტის მომსახურებების (44%) კურსდამთავრებულებს აქვთ ($\chi^2(16, n=3580) = 131.705, p < 0.001$).


კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი (54%) ამჟამად კერძო სექტორში, თითქმის მესამედი (31%) კი საჯარო სექტორში მუშაობს. დანარჩენი დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან კი 11% ამბობს, რომ საკუთარი ბიზნესი აქვს, 5% კი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელია (სქემა 19).

სქემა 19. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება დამსაქმებელი ორგანიზაციის ტიპის მიხედვით (რესპონდენტთა ვალიდური %, N=2894)




დასაქმებული კურსდამთავრებულების ყველაზე დიდი ნაწილი 36% შუა რგოლის თანამშრომელია, 32% - დაბალი რგოლის თანამშრომელი, ხოლო 9% - მაღალი რგოლის. რესპონდენტების მეხუთედზე მეტს კი უჭირს საკუთარი სამუშაოს რანგის განსაზღვრა.

სქემა 20. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა განაწილება სამუშაოს რანგის მიხედვით (რესპონდენტთა ვალიდური %, N=2894)




დასაქმებული რესპონდენტების 46% ამბობს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა ასაკის ჭრილში, კერძოდ, 24 წელზე დაბალი ასაკის რესპონდენტების 50% აღნიშნავს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ მათი პოზიცია კარიერულ კიბეზე უფრო მაღლა ავიდა, ხოლო 24 წელზე ზემოთ ასაკის რესპონდენტების 43% აღნიშნავს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ დაწინაურდა. ($\chi^2(1, n=2894) = 12.381, p < 0.001$) განსხვავებები არ გამოვლენილა სქესის ჭრილში. გარკვეული განსხვავებები ჩანს დარგების მიხედვით. კერძოდ, ჯანდაცვის, სამთო გამყოლის, მექანიკის, ტრანსპორტის მომსახურებებისა და სასტუმრო, რესტორანი და კვების მიმართულების რესპონდენტთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ დაწინაურდნენ ($\chi^2(16, n=2894) = 57.070, p < 0.001$).

სქემა 21. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა კარიერულ კიბეზე ცვლილებები პროგრამის დასრულების შემდეგ (დავჭინაური - რესპონდენტთა ვალიდური %, N= 2894)



კურსდამთავრებულთა 43%-ის ყოველთვიური ანაზღაურება 1000 ლარზე ქვემოთ არის, 1000-1500 ლარამდე ხელფასი რესპონდენტთა 19%-ს აქვს, 2000 ლარზე მეტი ხელფასი კი რესპონდენტთა მხოლოდ 12%-ს აქვს. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მონაცემებით საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი 1040 ლარს შეადგენდა, შესაბამისად გამოდის, რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარს მედიანურ ხელფასზე დაბალი შემოსავალი აქვს. ამასთანავე, ქალების 60%-ს აქვს 1000 ლარზე დაბალი შემოსავალი, კაცებში კი ასეთი მცირე ხელფასის მქონე რესპონდენტების რაოდენობა მთლიანი რესპონდენტების 29%-ს შეადგენს. ცხადია, ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(13, n=2894) = 407.916, p < 0.001$). ასევე, ქალების 74%-ის ყოველთვიური ანაზღაურება 1500 ლარზე ნაკლებია, ხოლო კაცებში იგივე მაჩვენებელი 52%-ია.

სქემა 22. ჩამოთვლილთაგან, რომელ კატეგორიაში ხვდება თქვენი ყოველთვიური ანაზღაურება ამჟამინდელ სამსახურში? (რესპონდენტთა %, N=2894)



გარკვეული განსხვავებები ჩანს დარგების მიხედვით ყოველთვიური ანაზღაურების ანალიზისას. შედარებით მაღალ ხელფასს (2000 ლარზე მეტს) იღებენ სამთო საქმისა და ტრანსპორტის მომსახურებების პროგრამების კურსდამთავრებულების მეოთხედზე მეტი. რესპონდენტთა უმრავლესობა (დაახლოებით 50-75%) გარდა ზემოთ დასახელებული ორი მიმართულებისა, 1000 ლარზე მეტ ხელფასს იღებს არქიტექტურა და მშენებლობის, ელექტრობის და მექანიკის მიმართულებების პროგრამების კურსდამთავრებულები, ხოლო შედარებით დაბალს - განათლების, სილამაზის მომსახურებების, ჯანდაცვისა და ტექსტილის წარმოების მიმართულებების კურსდამთავრებულები. ამ დარგებში რესპონდენტთა მხოლოდ 10-30% აქვს მედიანურ ხელფასზე (1040 ლარზე) მეტი შემოსავალი ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2(208, n = 2894) = 799.172, p < 0.001$). წელსაც როგორც წინა წლებში რესპონდენტთა თითქმის მეხუთედი უარს ამბობს ანაზღაურების ოდენობის მითითებაზე.


სქემა 23. ჩამოთვლილთაგან, რომელ კატეგორიაში ხვდება თქვენი ყოველთვიური ანაზღაურება ამჟამინდელ სამსახურში? დარგების ჭრილში (რესპონდენტთა %, N=2894)



დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ნახევარი აღნიშნავს, რომ მისი ხელფასი პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ გაიზარდა, 48%-ის ანაზღაურება არ შეცვლილა, ხოლო 1%-ის ანაზღაურება, რესპონდენტების ინფორმაციით, შემცირდა. ხელფასის ზრდას მამაკაცების 54% აღნიშნავს, ქალების კი 46%. ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(1, n=2894)=20.221, p<0.001$). სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები ამ მიმართულებით არ დაფიქსირებულა ასაკის ჭრილში.

კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მესამედი (34%) მუშაობს ორგანიზაციაში, სადაც თანამშრომელთა რაოდენობა ორმოცდაათს არ აღემატება. მსხვილ ორგანიზაციებში (250-ზე მეტი თანამშრომელი) კურსდამთავრებულთა 17-ია დასაქმებული. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მესამედზე მეტმა საერთოდ არ იცის დაახლოებით რა ზომის ორგანიზაციაშია დასაქმებული.

სურათი 24. დაახლოებით, რამდენი ადამიანი დასაქმებული თქვენს ამჟამინდელ სამსახურში? (რესპონდენტის %, N=2894)




სამსახურის ძიება

კურსდამთავრებულთა კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან განზომილებას წარმოადგენდა სამსახურის ძიების გამოცდილების შეფასება. ამ კომპონენტში რესპონდენტებს ვკითხეთ, ეძებენ თუ არა ისინი სამსახურს სწავლის დასრულების შემდეგ. რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის შემოხაზვა.

რესპონდენტების დაახლოებით 70%, რომლებიც ამჟამად არ არიან დასაქმებულები, ამჟამადაც ეძებს სამსახურს (სურათი 25). აღსანიშნავია, რომ 24 წელზე ნაკლები ასაკის რესპონდენტები ნაკლებად ეძებენ სამსახურს, უფროსებთან შედარებით და ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია ($\chi^2(1, n=696) = 4.351, p < 0.05$).


სურათი 25. ეძებთ თუ არა სამუშაოს ამჟამად? (N= 686)



რესპონდენტებს, რომლებიც ამჟამად არ არიან დაინტერესებული სამუშაოს ძიებით და არც მუშაობენ დამატებით ვკითხეთ რა არის ამის მიზეზები. მათი ინფორმაციით, ნახევარზე მეტი


არ ეძებს სამსახურს პროგრამის დასრულების შემდეგ ოჯახური მიზეზების გამო, 19%-მა შეიცვალა ინტერესები. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა თითქმის მესამედი სწავლის გაგრძელების გამო არ ეძებს სამსახურს. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ რესპონდენტებში, რომლებმაც ოჯახური მიზეზები მონიშნეს, 83% ქალია. ასაკის მხრივ კი სხვაობა თითქმის არ არის, რესპონდენტები, რომლებიც ოჯახური მიზეზების გამო არ ეძებენ სამსახურს, 51% 24 წელზე ნაკლები ასაკისაა.

სქემა 26. მიზეზები, რის გამოც კურსდამთავრებულები არ ეძებენ სამუშაოს (რესპონდენტების %, N=189)



უკვე დასაქმებულ რესპონდენტებს ვკითხეთ მათი გამოცდილებით, რომელი მეთოდი იყო ყველაზე წარმატებული სამუშაოს ძიების პროცესში და ვთხოვეთ შეეფასებინათ ამაში მათი დაწესებულების დახმარება. რესპონდენტების უმრავლესობა, თითქმის მეოთხედი აცხადებს, რომ სამუშაო დამსაქმებელთან დამოუკიდებლად ძიებით იშოვა. ასევე პასუხების მეხუთედი ინტერნეტისა და სოციალური ქსელისა და სტაჟირების პროგრამებს ერგოთ, პასუხებში იშვიათად ფიქსირდებოდა კერძო და საჯარო დასაქმების ცენტრები, ასევე არც ისე ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა რომ პსდ-ს წარმომადგენლები (კარიერის მართვის თანამშრომელი ან/და მასწავლებელი) ეხმარებოდა, ეს პსდ-ის მიერ სამუშაოს ძიების პროცესში დახმარების გარკვეულ ხარვეზებზე მიგვანიშნებს.

სქემა 27. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან თქვენი გამოცდილებით, რომელი აღმოჩნდა ყველაზე წარმატებული მეთოდი სამსახურის მოსაძიებლად (პასუხების %, N=2894)




სამუშაოსა და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი

შემენილი კომპეტენციების შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან

კურსდამთავრებულთა კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად შეესაბამება სწავლის პროცესში შეძენილი კომპეტენციები სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს. ამ მიზნით რესპონდენტებს დავუსვით კითხვები რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით.

პირველ რიგში კურსდამთავრებულებს ვკითხეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა კომპეტენცია მათი მიმდინარე სამუშაოსთვის. რესპონდენტებს შეეძლოთ შეეფასებინათ ჩამონათვალში მოცემული კომპეტენციები ხუთქულიან სკალაზე (1 - საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი, 5- ძალიან მნიშვნელოვანია). საინტერესოა, რომ პროფესიულ უნარებსა და ცოდნაზე უფრო ხშირად ძალიან მნიშვნელოვანი კომპეტენციების რიცხვში რესპონდენტები აღნიშნავდნენ ისეთ გამჭოლ კომპეტენციებს, როგორცაა სხვა ადამიანებთან ერთად მუშაობის და პრობლემის გადაჭრის უნარები (შესაბამისად, 85% და 86%).

სქემა 28 ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციების შესაბამისობა გამოკითხულთა სამუშაოსთან (N=2894, რესპონდენტების %)




კვლევის კიდევ ერთ მიგნებას წარმოადგენს ის, რომ უცხო ენისა ცოდნა და კომპიუტერული უნარები შედარებით ნაკლები რესპონდენტისთვის აღმოჩნდა ძალიან მნიშვნელოვანი მიმდინარე სამუშაოს შესრულებისას.

საინტერესოა, რომ 24 წელზე უმცროსი რესპონდენტების უფრო დიდი წილი (61%) აღნიშნავს, რომ მათი სამუშაოსთვის უცხო ენა ძალიან მნიშვნელოვანია, უფროსებთან შედარებით (54%). რაც შეეხება დარგებს კი, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების, სასტუმრო, რესტორანი და კვების, ტრანსპორტირების მომსახურებების, სამთო გამყოლისა და ჯანდაცვის მიმართულების კურსდამთავრებულების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათთვის უცხო ენის ფლობა მუშაობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ($\chi^2 (64, n = 2894) = 9216.487, p < 0.001$).

განსხვავებით უცხო ენისგან, მუშაობისთვის კომპიუტერული უნარების ფლობას თანაბრად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ როგორც ახალგაზრდები, ასევე ზრდასრულები. თუმცა აქ გარკვეული სხვაობები დარგისა და სქესის ჭრილებში დაფიქსირდა. კერძოდ, ქალების 71% მიიჩნევს კომპიუტერული უნარებს ძალიან საჭიროდ, მამაკაცებში კი ასე 58% ფიქრობს, ეს შესაძლოა გარკვეულწილად პროფესიებზე იყოს დამოკიდებული, რითაც ქალები უფრო არიან დასაქმებულები. ($\chi^2 (4, n = 2894) = 52.023, p < 0.001$). რაც შეეხება დარგებს, ბიზნესის და ადმინისტრირების, განათლების, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისა და სოციალური მეცნიერებების კურსდამთავრებულების 70%-ზე მეტი კომპიუტერულ უნარებს სამუშაოსთვის ძალიან მნიშვნელოვან კომპეტენციად მიიჩნევს ($\chi^2 (64, n = 2894) = 265.988, p < 0.001$).

მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებული რესპონდენტების ნაწილი პროფესიით არ მუშაობს, რესპონდენტთა უმრავლესობა (75%) იყენებს მიმდინარე საქმიანობაში პროგრამაზე სწავლისას მიღებულ ცოდნასა და უნარებს. ამ შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, კურსდამთავრებულები გამჭოლ კომპეტენციებს გულისხმობენ. საინტერესოა, რომ ცოდნისა და უნარების სამსახურში გამოყენებაზე უფროსი რესპონდენტები უფრო მიუთითებენ, ვიდრე 24 წელზე ქვემოთ ასაკის. ($\chi^2(4, n = 2894) = 19.554, p < 0.001$).

სქემა 29 რამდენად ხშირად იყენებთ თქვენ ამჟამინდელ სამსახურში პროგრამაზე სწავლისას მიღებულ ცოდნასა და უნარებს? (N=2894, რესპონდენტების %)



საინტერესოა, რომ პროგრამის ტიპის მიხედვითაც მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა ამ კითხვაში. კერძოდ, უნარებისა და ცოდნის სამუშაოზე აქტიურად გამოყენებაზე დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კურსდამთავრებულების უფრო დიდი წილი (82%) მიუთითებს ვიდრე სხვა მოდულური პროგრამების კურსდამთავრებულები და ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია (74%) ($\chi^2(8, n = 2894) = 25.663, p < 0.01$).

ჰორიზონტალური და ვერტიკალური თავსებადობა

რესპონდენტებს, ასევე, ვკითხეთ, თუ რამდენად შეესაბამება მათი ამჟამინდელი სამუშაო იმ პროფესიას, რომელსაც დაეუფლნენ. ეს ინდიკატორი ე.წ. ჰორიზონტალურ თავსებადობაზე მიგვითითებს. ჰორიზონტალურ თავსებადობაში იგულისხმება მიმდინარე საქმიანობის შინაარსობრივი შესაბამისობა შეძენილ პროფესიასთან.

რესპონდენტები იყენებდნენ ხუთქულიან სკალას (1 - საერთოდ არ შეესაბამება, 5 - სრულიად შეესაბამება). დასაქმებულ რესპონდენტთა ნახევრის (5%) აზრით, ამჟამინდელი საქმიანობა სრულად შეესაბამება დაუფლებულ პროფესიას, მეხუთედი მიიჩნევს, რომ შესაბამისობა


საერთოდ არ არის, ხოლო დანარჩენი რესპონდენტების პასუხები (28,2%) ამ ორ უკიდურეს პოზიციას შორის არის მოქცეული.

აღსანიშნავია, რომ იმ კურსდამთავრებულთა შორის, რომლებიც ამჟამად თავისი პროფესიით არ არიან დასაქმებულები (N=1019), პროგრამაზე სწავლისას ათვისებული ცოდნისა და უნარების სამუშაოსთან თავსებადობაზე 35.4% მიუთითებს. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (47.1%) კი აღნიშნავს, რომ მათი სამუშაო და პროფესია ერთმანეთს მცირედ ან საერთოდ არ შეესაბამება.

ამ ბლოკის ფარგლებში კიდევ ერთ საკვლევ ასპექტს წარმოადგენდა ე.წ. ვერტიკალური თავსებადობის საკითხი - ითხოვს თუ არა მიმდინარე სამუშაო უფრო მაღალ ან დაბალ კვალიფიკაციას შეძენილთან მიმართებაში. დასაქმებული რესპონდენტების 67% თვლის, რომ ამ ასპექტში ამჟამინდელი სამუშაო შეესაბამება მის კვალიფიკაციას, 11%-ის აზრით, სამუშაო ითხოვს უფრო დაბალ კვალიფიკაციას, ხოლო 21% -ის აზრით - უფრო მაღალ კვალიფიკაციას.

აგრეთვე, ჩანს გარკვეული განსხვავებები დარგების მიხედვითაც. სამუშაოსა და მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობაზე ყველაზე მეტად სამთო გამყოლის პროგრამების კურსდამთავრებულები მიუთითებენ. მექანიკის, სასტუმრო, რესტორანი და კვების, სილამაზის მომსახურებებისა და ტრანსპორტის მომსახურებების კურსდამთავრებულები კი აღნიშნავენ, რომ მათი სამუშაო უფრო მაღალ კვალიფიკაციას ითხოვს, ვიდრე მათ აქვთ. ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2(32, n = 2894) = 60.441, p < 0.01$).


სქემა 30 ამჟამინდელი სამუშაოს მოთხოვნების და მიღებული ცოდნის შესაბამისობა დარგების ჭრილში



ბლოკის ბოლოს კურსდამთავრებულებს ვთხოვეთ შეეფასებინათ, რამდენად სასარგებლო იყო მათი პროფესიული პროგრამა მათი მიზნების ჭრილში. რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ჩამონათვალიდან სხვადასხვა ასპექტი ხუთქულიან სკალაზე (1- სრულიად უსარგებლო, 5 - ძალიან სასარგებლო).

კვლევის საინტერესო მიგნებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რესპონდენტების ყველაზე დიდი წილი ძალიან სასარგებლოდ მიიჩნევს განვლილ პროგრამას, პირველ რიგში, პიროვნული განვითარებისთვის, ხოლო შემდეგ მომავალი სამსახურის მოძიებისა და პროფესიული/კარიერული განვითარებისათვის.

სურათი 3.1 მთლიანობაში, რამდენად სასარგებლო იყო თქვენ მიერ გავლილი პროფესიული პროგრამა ქვემოთ წარმოდგენილი მიზნებისთვის? (რესპონდენტების ვალიდური %, N=3580)



აქვე საინტერესოა, რომ პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვნად პროგრამაზე სწავლას 24 წელზე მეტი ასაკის მქონე რესპონდენტების 79% მიიჩნევს, ხოლო 24 წელზე ნაკლები ასაკის 73%. სტატისტიკურად არსებითი სხვაობაა ასევე სქესის ჭრილშიც. კერძოდ, ქალების 79% აღნიშნავს, რომ პროგრამაზე სწავლა მათი პიროვნული ზრდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მამაკაცი რესპონდენტებიდან კი ასე 74% ფიქრობს ($\chi^2(4, n = 3580) = 12.516, p < 0.05$).


ანალიზმა აჩვენა, რომ ანალოგიური ტენდენციაა კარიერული განვითარების კუთხით პროგრამის მნიშვნელოვნების შეფასებაში. კერძოდ ქალი რესპონდენტების უფრო დიდი წილი (74%) თვლის, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათი კარიერული განვითარებისთვის პროგრამაზე სწავლა, ვიდრე კაცი რესპონდენტების (71%) ($\chi^2(4, n = 3580) = 14.196, p < 0.01$). ასევე 24 წელზე მეტი ასაკის მქონე რესპონდენტები უფრო მნიშვნელოვნად (74%) აფასებენ პროგრამას მათი კარიერული განვითარებისთვის, ვიდრე უმცროსები (70%) ($\chi^2(4, n = 3580) = 14.649, p < 0.01$).

კარიერული ორიენტაცია და შრომითი კმაყოფილება

კურსდამთავრებულთა კვლევის კიდევ ერთ განზომილებას რესპონდენტების შრომითი კმაყოფილება და შემდგომი კარიერული გეგმები წარმოადგენდა.

რესპონდენტებმა ხუთქულიან სკალაზე შეაფასეს მიმდინარე სამუშაოთი კმაყოფილება (1-სრულიად უკმაყოფილო, 5 - ძალიან კმაყოფილი). გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51%) ძალიან კმაყოფილია სამუშაოთი, ხოლო 5% - სრულიად უკმაყოფილო.


სურათი 32 რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ამჟამინდელი სამუშაოთი? N=2894



ასევე, განსხვავებები გამოვლინდა ასაკის ჯგუფში, კერძოდ, 24 წელზე უფროსი რესპონდენტების სამი მეოთხედი ამჟამინდელი სამუშაოთი კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილია, უფრო უმცროსი ასაკის რესპონდენტებთან შედარებით (71%). ეს განსხვავება მცირე, თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($\chi^2(4, n=2894) = 15.968, p < .01$). სქესისა და დარგების მიხედვით სამუშაოთი კმაყოფილების მხრივ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები არ არის.

კურსდამთავრებულების კარიერული ორიენტაციისა და სამომავლო გეგმების შესაფასებლად, მათ ვკითხეთ თუ რა ტიპის ცვლილებებს გეგმავენ კარიერული განვითარების კუთხით. რესპონდენტთა თითქმის მესამედი (31%) გეგმავს დაწინაურებას სამუშაო ადგილზე. ასევე დასაქმებულთა მეოთხედი ფიქრობს სწავლის გაგრძელებაზე, ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან წინა ორი წლის კოჰორტაში რესპონდენტთა მხოლოდ 7% აფიქსირებდა სწავლის გაგრძელების სურვილს. ასევე გაზრდილია საკუთარი ბიზნესის და ზოგადად მუშაობის დაწყების სურვილიც, ყოველი მეხუთე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მას სურს საკუთარი ბიზნესის დაწყება ან სამსახურის დაწყება. რესპონდენტების 15% აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე არ აპირებს ცვლილებებს (ან არ აქვს მიმდინარე გეგმა კარიერული განვითარების მიმართულებით).

სქემა 3.3 ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ თქვენს შემდგომ კარიერულ განვითარებაში? (რესპონდენტთა %, N=3580)



კურსდამთავრებულთა სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით საინტერესო და სტატისტიკურად არსებითი სხვაობები გამოვლინდა ზოგიერთ ჭრილში. კერძოდ, სამსახურის დაწყებას უფრო მეტად გეგმავენ 24 წელს ქვემოთ (26%) კურსდამთავრებულები, ვიდრე 24 წელს ზემოთ (15%). ($\chi^2(1, n = 3580) = 39.267, p < .001$). ასევე, ქალები (24%) უფრო მეტად გეგმავენ სამსახურის დაწყებას, ვიდრე კაცები (15%). ($\chi^2(1, n = 3580) = 39.267, p < .001$). თუმცა ამის საპირისპიროდ, საკუთარი ბიზნესის დაწყებას კაცები (22%) უფრო მეტად გეგმავენ, ვიდრე ქალები (18%). ($\chi^2(1, n = 3580) = 10.921, p < .01$).

შეკითხვაზე გეგმავთ თუ არა დაწინაურებას მიმდინარე სამუშაო ადგილზე, დადებითად პასუხობს კაცების 33% და ქალების 29%. $\chi^2(1, n = 3580) = 9.781, p < 0.01$. დაწინაურების მიმართულებით უფრო მკაფიო გეგმები აქვთ ასევე შედარებით უფროს რესპონდენტებს (34%), ვიდრე 24 წელზე ქვემოთ ასაკის კურსდამთავრებულებს (27%). ($\chi^2(1, n = 3580) = 19.191, p < .001$). დაწინაურების შესახებ გეგმებზე განათლების, სოციალური მეცნიერებების და ტრანსპორტის მომსახურებების რესპონდენტთა თითქმის 40% მიუთითებს, ხოლო სამთო საქმის რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (55%) აღნიშნავს, რომ აპირებს სამუშაო ადგილზე დაწინაურებას. ამ მიმართულებების კურსდამთავრებულთა მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სფეროებისგან ($\chi^2(16, n = 3580) = 126.552, p < .001$).

საინტერესოა, რომ სწავლის გაგრძელების მიმართულებით განსაკუთრებით მოტივირებულები არიან 24 წელზე ქვემოთ ასაკის რესპონდენტები მათი 27% აღნიშნავს, რომ გეგმავს სწავლის გაგრძელებას, მაშინ როცა უფრო ასაკის რესპონდენტების 22% მიუთითებს სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებულ გეგმაზე. ($\chi^2(1, n = 3580) = 9.331, p < .01$). სხვა მიმართულების კურსდამთავრებულებთან შედარებით ასევე დიდია ბიზნესისა და ადმინისტრირების (30%), ინფორმაციისა და ტექნოლოგიების (33%), ტრანსპორტის მომსახურებების (33%) და სამთო გამყოლის (31%) პროგრამების კურსდამთავრებულთა

სურვილი, სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად შეგვიძლია მივიჩნიოთ ($\chi^2 (16, n = 3580) = 56.731, p < .001$.) აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ 24 წელზე ზემოთ ასაკის რესპონდენტების უფრო დიდი წილი (18%) მიუთითებს, რომ არ აპირებს კარიერულ ცვლილებებს, უმცროს რესპონდენტებში კი მხოლოდ 11% ამბობს, რომ არ აპირებს ცვლილებებს.

რესპონდენტებს არამარტო ვკითხეთ გეგმავენ თუ არა სწავლის გაგრძელებას, არამედ ჩვენთვის საინტერესო იყო აგრძელებენ თუ არა ისინი სწავლას. აღმოჩნდა, რომ პროგრამების კურსდამთავრებულების ნაწილი კვლავ აგრძელებს სწავლას. რესპონდენტთა ნახევარი აღნიშნავს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ გაიარა პროფესიული ტრენინგები/შემდგომი გადამზადების კურსები. მათ შორის, 34%-მა იმავე ან მომიჯნავე მიმართულებით, დანარჩენებმა კი სხვა მიმართულებით განაგრძეს სწავლა. 44% პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლობს ან უკვე დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (28%-საკუთარი მიმართულებით). 40% კი სწავლობს ან დაასრულა სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ხაზგასასმელია, რომ წინა ორი წლის კოჰორტასთან შედარებით სამივე მიმართულებით გაზრდილია კურსდამთავრებულებში სწავლის გამგრძელებელთა წილი.

სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სქესის ჭრილში. მამაკაცების უფრო დიდი წილი (52%) აცხადებს რომ არ გაუვლია სწავლის შემდგომი გადამზადების კურსები, ვიდრე ქალების (48%) ($\chi^2 (2, n = 3580) = 6.118, p < 0.05$).

სქესის გარდა განსხვავებები დაფიქსირდა ასაკობრივ კატეგორიებშიც. 24 წელს ზემოთ ასაკის მქონე რესპონდენტების 58% აგრძელებს სწავლას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 24 წელს ქვემოთ ასაკის რესპონდენტებიდან კი 54% ($\chi^2 (2, n = 3580) = 11.894, p < .01$). ასევე, სტატისტიკურად არსებითია განსხვავება იმ კურსდამთავრებულთა შორის, რომლებმაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა გააგრძელეს, კერძოდ, უფრო მეტი (64%) 24 წელს ზემოთ ასაკის წარმომადგენელმა განაგრძო სწავლა უსდ-ში, ვიდრე 24 წელს ასაკის ქვემოთ (53%) ($\chi^2 (2, n = 3580) = 53.191, p < 0.001$).

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის დასრულების შემდგომ სწავლა უსდ-ში, პსდ-ში ან მოკლევადიან პროგრამებზე ყველაზე მეტად განათლების, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ტრანსპორტის მომსახურებების, სილამაზის მომსახურებებისა და ჯანდაცვის მიმართულების პროგრამების კურსდამთავრებულებმა განაგრძეს. აღნიშნულ დარგებში 30-50% რესპონდენტებმა სწავლა საკუთარი მიმართულებით განაგრძეს.

იმ რესპონდენტების 39%, ვინც სწავლის დასრულების შემდეგ სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გააგრძელა ამჟამად დასაქმებულია საკუთარი პროფესიით, ხოლო 27% დაუსაქმებელია. მსგავსი სურათია იმ რესპონდენტებში, ვინც გაიარა პროფესიული კურსები/გადამზადების კურსები, მათი 57% ამჟამად დასაქმებულია საკუთარი პროფესიით, 30% კი უმუშევარი.

სქემა 34. პროგრამის შემდეგ სწავლის გაგრძელების გამოცდილება? (რესპონდენტთა %, N=3580)



კითხვარის ბოლო მოცემულ კომენტარების ნაწილში, რესპონდენტების უმეტესობა დადებით უკუკავშირს აწვდის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. ზოგიერთი მათგანი ისურვებდა მეტ სტაჟირებასა და პრაქტიკას, წამახალისებელ მექანიზმებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა კერძო ბიზნესის წამოწყებას, თეორიული მასალის ონლაინ სწავლებას, სტუდენტების დასაქმების უფრო მეტად ხელშეწყობას, სახელმწიფოსგან და ბიზნესისგან მეტ მხარდაჭერას, მეტ გაცვლით პროგრამებსა და გასვლით გაკვეთილებს.

ძირითადი მიგნებები და
რეკომენდაციები

ძირითადი მიგნებები

კურსდამთავრებულთა სწავლის მოტივაცია და პსდ-თან ურთიერთობის პერსპექტივები

- 2022 წლის კურსდამთავრებულთა კოჰორტაში რესპონდენტების უმეტესობას (85%) პროფესიულ პროგრამაზე სწავლის მაღალი ან ძალიან მაღალი მოტივაცია ჰქონდა. საშუალოდ უფრო მაღალ მოტივაციაზე 24 წელზე უფროსი ასაკისა და ასევე მამრობითი სქესის კურსდამთავრებულები მიუთითებდნენ.
- 2022 წლის კურსდამთავრებულთა კოჰორტაში რესპონდენტთა უმეტესობას (92%) წინა წლის კვლევის შედეგების იდენტურად (90%) არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე.
- ისევე როგორც კვლევის წინა ციკლის დროს, 2022 წლის კურსდამთავრებულებშიც სწავლის მიტოვების შესაძლო მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად პროგრამის მოლოდინებთან შეუსაბამობა დასახელდა (28%), მეორე ყველაზე ხშირად დასახელებულ ფაქტორს ოჯახური მიზეზები წარმოადგენს (26%).
- საინტერესო ტენდენციას წარმოადგენს ის, რომ რესპონდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისადმი ინტერესისა და პსდ-ის კარგი რეპუტაციის გათვალისწინებით მიიღო. პროგრამაზე ჩაბარების ყველაზე ხშირად დასახელებულ მიზეზს ასევე წარმოადგენს პროგრამაზე სწავლის საფასურის არარსებობა/უფასო სწავლა. პროგრამაზე სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობას, ისევე როგორც მშობლებისა და ახლობლების რჩევას.
- საინტერესოა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობა პროგრამაზე სწავლის შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან მიზეზებს შორის დასახელდა, თუმცა თბილისისა და რეგიონის დაწესებულებების კურსდამთავრებულთა შედარებისას ჩანს, რომ რეგიონში მდებარე დაწესებულებების კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილისთვის ეს მიზეზი მნიშვნელოვანი იყო ჩაბარების გადაწყვეტილების მიღებისას, თბილისის დაწესებულებების რესპონდენტებთან შედარებით.
- პროგრამაზე სწავლის ერთ-ერთი მიზეზი - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების შესაძლებლობა, 24 წელზე ნაკლები ასაკის მამრობითი სქესის რესპონდენტებში თითქმის ყოველი მეორესთვის (45%) მნიშვნელოვანი ან ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩაბარების გადაწყვეტილების მიღებისთვის.
- აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის რესპონდენტების დიდ ნაწილს უკვე ჰქონდა სამსახური (იმავე პროფესიული მიმართულებით) ან

საკუთარი საქმე. კურსდამთავრებულებმა, პროგრამაზე სწავლის გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის დამატებით დაასახელეს: უკვე არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავება, ახალი ადამიანების, კოლეგების, პროფესიონალების გაცნობის შესაძლებლობა, პრაქტიკისა და თეორიული ცოდნის შეთავსება, უწყვეტი კარიერული ზრდისა და სწავლის შესაძლებლობა. აღნიშნული მიზეზები წინა წლის კურსდამთავრებულთა მიერ დასახელებულ მიზეზების მსგავსია.

- კვლევის შედეგების თანახმად, ასევე, მაღალია კურსდამთავრებულების ჰსდ-თან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი. რესპონდენტების უმრავლესობა გამოთქვამს ამა თუ იმ ფორმით ჰსდ-თან მომავალში თანამშრომლობის სურვილს. ელ. ფოსტით ტრადიციული კომუნიკაციის გარდა, კურსდამთავრებულების დაახლოებით ნახევარი (49%) გამოთქვამს სურვილს, ჩაერთოს სწავლებასა და კონსულტაციებში, ხოლო მესამედზე მეტს სურს ესწრებოდეს კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ტიპის შეხვედრებს (39%).

სწავლით კმაყოფილება და კომპეტენციების შეფასება

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ზოგადი შეფასებებიც 2022 წლის კურსდამთავრებულებში ძირითადად მაღალი ან ძალიან მაღალია. რესპონდენტების 93% ძალიან კმაყოფილია ან კმაყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით. ასევე, გამოკითხულთა 80%-ზე მეტი სრულიად დარწმუნებულია, რომ არჩევანის ხელმეორედ გაკეთების შემთხვევაში, კვლავ აირჩევდა იგივე პროგრამასა და საგანმანათლებლო დაწესებულებას.
- თუმცა ამ განზომილების მიხედვით, 2022 წლის კურსდამთავრებულთა კოჰორტაში კვლავ ვხედავთ გარკვეულ განსხვავებებს ასაკის ნიშნით. 24 წელზე უფროსი ასაკის კურსდამთავრებულები უფრო მეტად არიან კმაყოფილნი პროგრამით და, შესაბამისად, მეტად დარწმუნებულნიც, რომ ისევ ამავე პროგრამასა და დაწესებულებას აირჩევდნენ, ვიდრე 24 წლამდე ასაკის რესპონდენტები.
- კვლევის საინტერესო მიგნებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რესპონდენტების ყველაზე დიდი წილი ძალიან სასარგებლოდ მიიჩნევს განვლილ პროგრამას, პირველ რიგში, პიროვნული განვითარებისთვის, ხოლო შემდეგ მომავალი პროფესიული/კარიერული განვითარებისა და სამსახურის მოძიებისთვის.
- კურსდამთავრებულების უმრავლესობა (70%-ზე მეტი) მიიჩნევს, რომ საფუძვლიანად განივითარა პროფესიული უნარები და ცოდნა, თუმცა მეტ აქცენტს ისურვებდა ე.წ. ტრანსფერულ უნარებზე, მაგალითად უცხო ენასა და კომპიუტერული უნარებზე.

სასწავლო პროცესის და სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების შეფასება

- აგრეთვე დადებითია კურსდამთავრებულთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასება. გამოკითხვები განსაკუთრებით კმაყოფილნი არიან მასწავლებლებთან კონსულტაციის შესაძლებლობით და მასწავლებლების კვალიფიკაციით. ასევე, მაღალი შეფასებები დაფიქსირდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ზოგად კეთილმოწყობის, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობისა და სწავლების ხარისხის კომპონენტებში. გამოკითხულთა უმეტესობა (80%-მდე) ძალიან დადებითად ან დადებითად აფასებს კავშირს პრაქტიკულ და თეორიულ კომპონენტებს შორის, თავად პრაქტიკის კომპონენტს, პროგრამის შინაარსის თანამედროვეობას და სამუშაო მოთხოვნებთან კავშირს. მიუხედავად ძირითადად დადებითი შეფასებებისა, გასათვალისწინებელია რომ რესპონდენტების მაღალი შეფასებების ტენდენცია შესაძლოა უკავშირდებოდეს კვლევის მეთოდოლოგიას. კერძოდ, იმას, რომ ბევრ პსდ-ში კურსდამთავრებულთა კვლევაში მოწვევაში ჩართული იყვნენ პროგრამის ხელმძღვანელები. მართალია კვლევის რესპონდენტები ინფორმირებული იყვნენ პასუხების კონფიდენციალურობის შესახებ, მაგრამ დიდი ალბათობაა იმისა, რომ ეს ფაქტი მათი სოციალურად სასურველი პასუხების გაცემისკენ უბიძგებდა.
- სტუდენტების შეფასებები შედარებით უფრო კრიტიკულია ტექნიკური აღჭურვილობის გამართულობის ასპექტებთან მიმართებით. ასევე, კურსდამთავრებულების გარკვეული ნაწილი ნაკლებად დადებითად აფასებს ბიბლიოთეკის ფუნქციონირებას და ნაკლებად ფლობს ინფორმაციას დაწესებულების შშმ/სსსმ პირებისთვის ადაპტირებულობის შესახებ.
- კიდევ ერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სტუდენტების ჩართულობისა და დაწესებულების პოლიტიკაზე ზეგავლენის შესაძლებლობა - კურსდამთავრებულების დაახლოებით მეოთხედს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ან უარყოფითად აფასებს ამ ასპექტებში სტუდენტების ჩართულობის საკითხს.
- კვლევის კიდევ ერთ საინტერესო მიგნებას წარმოადგენს ის, რომ კურსდამთავრებულები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას ან ნაკლებად კმაყოფილები არიან ექსტრაკურსულური აქტივობებით, თუმცა აქ გასათვალისწინებელია რომ 2022 წლის კურსდამთავრებულებს ნაკლებად მოუწიათ პსდ-ებში ექსტრაკურსულური აქტივობებში ჩართულობა.
- საყურადღებოა, რომ კურსდამთავრებულები დასაქმების ხელშეწყობისა და კარიერული განვითარების სერვისებს კრიტიკულად აფასებენ. რესპონდენტების დაახლოებით მეოთხედი სასწავლებლის მხრიდან დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარების შესახებ არ ფლობს ინფორმაციას ან ძალიან უარყოფითად აფასებენ.

- კვლევის შედეგები, ასევე, გვაწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების გაზრდის მიმართულებით გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ: კურსდამთავრებულთა შეფასებით, პროგრამაზე სწავლის პერიოდში ნაკლებად გამოიყენებოდა ელექტრონული სწავლების მიდგომები, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას. კურსდამთავრებულების რეკომენდაციით, თეორიული მასალა შესაძლებელია ელ. ლექციების სახით იყოს მიწოდებული.

სამუშაოს ძიება

- რესპონდენტების დაახლოებით 70%, რომლებიც ამჟამად არ არიან დასაქმებულები, კვლევაში მონაწილეობის დროსაც ეძებს სამსახურს. ხოლო ისინი ვინც სამსახურს არ ეძებენ, ძირითად მიზეზებად ოჯახურ ფაქტორებსა და სწავლის გაგრძელებას ასახელებენ.
- აღსანიშნავია, რომ პროგრამების კურსდამთავრებულების ნაწილი კვლავ აგრძელებს სწავლას. 50% აღნიშნავს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ გაიარა პროფესიული ტრენინგები/შემდგომი გადამზადების კურსები. 44% პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლობს ან უკვე დაასრულა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო 40% სწავლობს ან დაასრულა სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. იმ რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი, ვინც სწავლის დასრულების შემდეგ სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გააგრძელა ან გაიარა პროფესიული კურსები/ გადამზადების კურსები ამჟამად დასაქმებულია საკუთარი პროფესიით.
- რესპონდენტების გამოცდილებით, სამუშაოს მოძიების ყველაზე ეფექტური გზა აღმოჩნდა დამოუკიდებელი კონტაქტი დამსაქმებელთან, ინტერნეტი და სოციალური ქსელები. ასევე, არც ისე ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა რომ სამსახურის ძიების პროცესში პსდ-ს წარმომადგენლები (კარიერის მართვის თანამშრომელი ან/და მასწავლებელი) ეხმარებოდნენ. ეს შედეგი პსდ-ის მიერ სამუშაოს ძიების პროცესში დახმარებისა და დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაციული ფორმების განვითარების საჭიროებაზე მიგვანიშნებს.

დასაქმება

- დასაქმების საერთო მაჩვენებლის ზრდის დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში დადებითია. 2022 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები ბოლო 6 წლის მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს და ის პროფესიულ განათლებაში რეკორდულ მაჩვენებელს - 81%-ს აღწევს.

- გასათვალისწინებელია ე.წ. ჰორიზონტალური არათავსებადობის მაღალი მაჩვენებელი - მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესობა (81%) კვლევის მომენტისთვის დასაქმებულია, მათგან მხოლოდ 48% მუშაობს საკუთარი პროფესიით, რაც ნიშნავს, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილის შემთხვევაში ვლინდება ჰორიზონტალური არათავსებადობის საკითხი.
- რაც შეეხება ვერტიკალურ არათავსებადობას - დასაქმებული კურსდამთავრებულების 12%-ის აზრით, სამუშაო ითხოვს უფრო დაბალ კვალიფიკაციას, ხოლო 21% -ის აზრით - უფრო მაღალ კვალიფიკაციას. ვერტიკალური თავსებადობის კუთხით პრობლემები გამოვლინდა დარგების მიხედვით: მექანიკის, სასტუმრო, რესტორანი და კვების, სილამაზის მომსახურებებისა და ტრანსპორტის მომსახურებების კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ მათი სამუშაო უფრო მაღალ კვალიფიკაციას ითხოვს, ვიდრე მათ აქვთ. ვერტიკალური და ჰორიზონტალური თავსებადობის ეს და სხვა გამოწვევები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან რელევანტურობის გაზრდის საჭიროებას აჩვენებს.
- პროფესიით დასაქმების მაჩვენებლებში ვლინდება გარკვეული განსხვავებები ასაკობრივი ჯგუფების, სქესის და სოციალურად დაუცველის სტატუსის მიხედვით. კერძოდ, პროფესიით დასაქმების მაჩვენებლები უფრო დაბალია ახალგაზრდებში (≤ 24 წ) და სოციალურად დაუცველ კურსდამთავრებულებში. ეს მიგნება კონკრეტულ ჯგუფებზე მორგებული დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზებული ფორმების გაუმჯობესების საჭიროებაზე მიგვანიშნებს.
- პროფესიით დასაქმების მაჩვენებლებში ასევე ვხედავთ სხვაობას პროფესიული პროგრამის ტიპის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპის და დარგების მიხედვითაც - მაჩვენებელი უფრო მაღალია დუალურ პროგრამებში და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში.
- მიუხედავად ჰორიზონტალური და ვერტიკალური არათავსებადობის მაღალი მაჩვენებლებისა, დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობა (75%) აღნიშნავს, რომ იყენებს მიმდინარე საქმიანობაში პროგრამაზე სწავლისას მიღებულ ცოდნასა და უნარებს - აქ ისინი, სავარაუდოდ, ე.წ. ტრანსფერულ უნარებს გულისხმობენ. ტრანსფერული უნარების განვითარება პროფესიული განათლების ფარგლებში ერთგვარ მაკომპენსირებელ მექანიზმად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომელიც კურსდამთავრებულებს შემდგომ განვითარებასა და წინსვლაში ეხმარება.
- დასაქმებული კურსდამთავრებულების 32% დაბალი რგოლის თანამშრომელია, 36% - შუა რგოლის თანამშრომელი, ხოლო 9% - მაღალი რგოლის. 23%-ს უჭირს საკუთარი სამუშაოს რანგის განსაზღვრა. დასაქმებული რესპონდენტების 46% ამბობს, რომ დაწინაურდა პროგრამის დასრულების შემდეგ.

- კურსდამთავრებულთა 43%-ის ყოველთვიური ანაზღაურება 1000 ლარზე ქვემოთ არის, 1000-1500 ლარამდე ხელფასი რესპონდენტთა 19%-ს აქვს, 2000 ლარზე მეტი ხელფასი კი რესპონდენტთა მხოლოდ 12% აქვს. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მონაცემებით საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა მედიანური ხელფასი 1040 ლარს შეადგენდა, შესაბამისად გამოდის, რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარს მედიანურ ხელფასზე დაბალი შემოსავალი აქვს. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ნახევარი აღნიშნავს, რომ მისი ხელფასი პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ გაიზარდა, 48%-ის ანაზღაურება არ შეცვლილა, ხოლო 1%-ის ანაზღაურება, რესპონდენტების ინფორმაციით, შემცირდა.
- ამასთანავე, ქალების 60%-ს აქვს 1000 ლარზე დაბალი შემოსავალი, კაცებში კი ასეთი მცირე ხელფასის მქონე რესპონდენტების რაოდენობა მთლიანი რესპონდენტების 29%-ს შეადგენს. გარკვეული განსხვავებები ჩანს დარგების მიხედვითაც. შედარებით მაღალ ხელფასს (2000 ლარზე მეტს) იღებენ სამთო საქმისა და ტრანსპორტის მომსახურებების პროგრამების კურსდამთავრებულების მეოთხედზე მეტი. ხოლო შედარებით დაბალს - განათლების, სილამაზის მომსახურებების, ჯანდაცვისა და ტექსტილის წარმოების მიმართულებების კურსდამთავრებულები.
- გამოკითხულთა 51% ძალიან კმაყოფილია სამუშაოთი, ხოლო 5% - სრულიად უკმაყოფილო. სხვა გამოკითხულთა პასუხები ამ ორ კატეგორიას შორის არის მოქცეული.

მიმართულებები შემდგომი მუშაობისათვის

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები განათლების პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში ჩართული მხარეებისთვის რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო. პირველ რიგში, მათი ნაწილი პროფესიული განათლების პოლიტიკის დღის წესრიგში არსებულ ბევრ ისეთ მიმართულებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც საქართველოში უკვე ხორციელდება. შედეგები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ მიმართულებებით საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული ინიციატივების მნიშვნელოვნებას.

ამასთანავე, კვლევის მიგნებების ნაწილი მიანიშნებს ისეთი ინტერვენციების გატარების აუცილებლობაზე, რომლებიც საქართველოში ჯერ დაგეგმვის ფაზაზეა. მნიშვნელოვანია, ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევის კონსოლიდაცია ამ ინიციატივების სწორად დაგეგმვისა და თანმიმდევრული განხორციელებისათვის.

კერძოდ, კვლევის შედეგების თანახმად მნიშვნელოვანია:

- პროფესიით დასაქმების მაჩვენებლების გაზრდა და უნარების ვერტიკალური და ჰორიზონტალური არათავსებადობის პრობლემის შემცირება.

მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების ზოგადი მაჩვენებლები კურსდამთავრებულებში იზრდება, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მათ მიერ განვლილი პროგრამა შინაარსობრივად მცირედ ან საერთოდ არ შეესაბამება მიმდინარე სამუშაოს ან ითხოვს უფრო დაბალ ან უფრო მაღალ კვალიფიკაციას.

უნარების ვერტიკალური და ჰორიზონტალური არათავსებადობის საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბითაც, რადგან, კვლევების თანახმად, ის უარყოფითად აისახება სამუშაო ძალის ხარისხზე, დასაქმების მაჩვენებლებზე, სამუშაო ძალის ზოგად პროდუქტიულობასა და კონკურენტუნარიანობაზე. გარდა ამისა, ვერტიკალური და ჰორიზონტალური არათავსებადობა იწვევს სამუშაოთი კმაყოფილებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობების შემცირებას.^{18 19 20}

კურსდამთავრებულთა კვლევის მომავალ ციკლებში მნიშვნელოვანია დაიხვეწოს უნარების არათავსებადობის შესახებ მონაცემთა შეგროვების სტრატეგიები და ამ საკითხზე სხვა ჩართულ უწყებებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის ფორმები (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული

¹⁸ European Commission. (2020). European Skills Agenda for sustainable competitiveness, social fairness and resilience.

¹⁹ European Training Foundation. (2021). Skills4Jobs.

²⁰ OECD/European Union. (2018). Skills mismatch and productivity in the EU.

სამსახური, დარგობრივი უნარების ორგანიზაციები, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო).

მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო ინიციატივების ფარგლებში ყველა ჩართული აქტორის მიერ შექმნილი გამოცდილება და ცოდნა უფრო ეფექტურად იქნას ინტეგრირებული პროფესიული განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და შეფასების მიმართულებით.

- **დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზებული ფორმების განვითარება და სპეციალური ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული სერვისების განვითარება**

კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ეს საჭიროება ხაზს უსვამს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე მიმდინარე და დაგეგმილი ორგანიზაციული ცვლილებების მნიშვნელოვნებას და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაციული ფორმების მრავალფეროვნებისა და ეფექტურობის გაზრდის აუცილებლობას.

ეს ინიციატივები, თავის მხრივ, ეხმარება დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზებული ფორმების განვითარების ევროპულ პრიორიტეტს - ევროპის 14 ქვეყანაში განხორციელებული კვლევის თანახმად, დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებები პსდ-ის დონეზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტთა დასაქმების და უნარების სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის საერთო მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის.^{21 22}

საქართველოში ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობის ფარგლებში მნიშვნელოვანია ორგანიზაციულ დონეზე დასაქმების ხელშეწყობი ზოგადი პროცესების განვითარება (გამოფენები, დამსაქმებელთან შეხვედრები და ა.შ.) და, ასევე, კონკრეტულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან სისტემური თანამშრომლობის გაღრმავება დასაქმების საკითხებში.

- **ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა სასწავლო პროცესში**

კურსდამთავრებულთა უკუკავშირი სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების არასაკმარის გამოყენებაზე მიუთითებს, მაშინ როდესაც ტექნოლოგიების სწორად ინტეგრირება სწავლებისა და სწავლის გამოცდილების, ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდის ეფექტურ ინსტრუმენტად მიიჩნევა.²³

²¹ CEDEFOP. (2017). Improving the employability of VET graduates: The role of guidance.

²² OECD. (2019). Getting Skills Right: Future-Ready Adult Learning Systems.

²³ European Commission. (2013). Opening up Education: Innovative Teaching and Learning for All Through New Technologies and Open Educational Resources.

ევროკომისიის განათლებისა და ტრენინგის ჩარჩო დოკუმენტი ხაზს უსვამს ICT-ის გამოყენების მნიშვნელობას ინოვაციური პედაგოგიური მიდგომების მხარდასაჭერად და ციფრული უნარების გასაუმჯობესებლად პროფესიული განათლების სფეროში. კომისია ასევე რეკომენდაციას უწევს ღია საგანმანათლებლო რესურსების (OER) გამოყენებას პროფესიული განათლების შემსწავლელთათვის მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.²⁴

პრიორიტეტის დასახვის და საკითხზე კონცეპტუალური მუშაობის პარალელურად მნიშვნელოვანია პროცესისთვის მნიშვნელოვანი ტექნიკური რესურსებისა და მხარდამჭერი სერვისების უზრუნველყოფა, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების შესაძლებლობების გაძლიერება, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული გადაწყვეტების პილოტირება და ეტაპობრივი დანერგვა.

- **სპეციალური ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება**

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები გარკვეული ჯგუფებისთვის პროფესიული განათლების სარგებლის ხელმისაწვდომობის ხარვეზებზე მიუთითებს. კერძოდ, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა განსხვავებები კონკრეტულ ასაკობრივი ჯგუფების, სქესის, ისევე როგორც სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მიხედვით.

მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს მუშაობა სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის, სხვადასხვა ტიპის სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სპეციალური მხარდამჭერი სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.

ასევე, კვლევის შედეგების თანახმად, მნიშვნელოვანია სტუდენტების და, ზოგადად, ყველა დაინტერესებული მხარის (მასწავლებლები, ადმინისტრაცია) ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური გარემოს მახასიათებლების და მნიშვნელოვნების, ისევე როგორც ამ გარემოს შექმნის ეფექტური სტრატეგიების შესახებ.^{25 26}

- **სასწავლო პროგრამების შინაარსში სხვა ე.წ. ტრანსფერული უნარების კომპონენტის გაძლიერება**

ეს მიმართულება გულისხმობს მეტ აქცენტს დროის დაგეგმვის, პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, უცხო ენისა და კომპიუტერული უნარების განვითარებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ კომპეტენციების განვითარება მოხდეს სისტემურად, როგორც

²⁴ European Commission. (2018). Education and Training 2020: Report on the Implementation of the ET 2020 Strategic Framework.

²⁵ European Commission. (2020). Supporting Vulnerable Learners in Vocational Education and Training: Key Features of Successful Policy

²⁶ UNESCO. (2017). A Guide for Ensuring Inclusion and Equity in Education

პროგრამის, ისე ექსტრაკურთკულური აქტივობების ფარგლებში და არ შემოისაზღვროს მხოლოდ სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილი კურსებით. ეს ამოცანა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების მიერ სასწავლო გეგმაზე შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვს.

- **პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კარიერული განვითარების სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა**

კვლევის შედეგები კარიერული განვითარების სერვისების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე მიუთითებს. ერთი მხრივ, კარიერული განვითარების ფარგლებში მუშაობა, გულისხმობს თავად სერვისების მრავალფეროვნების გაზრდას. მეორე მხრივ კი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული კარიერის მართვის მენეჯერების კომპეტენციების გაძლიერებას.

კარიერული სერვისების მრავალფეროვნების გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ერთ-ერთი საბაზისო კარიერული სერვისის - კარიერული განათლების კურსის დანერგვის პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ის სამიზნე ჯგუფებს საკუთარი კარიერის მართვის უნარების განვითარებაში დაეხმარება.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კარიერული განვითარების მიმართულება არ შემოიფარგლოს მხოლოდ პროფესიული პროგრამების მიმდინარე სტუდენტებით, არამედ გავრცელდეს კურსდამთავრებულებსა და პოტენციურ სტუდენტებზე - განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებზე. მამასადამე, უნდა გაგრძელდეს მუშაობა ღია კარის დღეების ახლებური სერვისის დახვეწისა და დანერგვის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს უნარების ჰორიზონტალური და ვერტიკალური თავსებადობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემური მექანიზმები იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კარიერული განვითარების სერვისების გაუმჯობესებისათვის.

- **პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურთკულური აქტივობების სრულყოფა**

ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ სერვისების მრავალფეროვნების გაზრდა, ხოლო მეორე მხრივ - ამ სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ეფექტური გზების დანერგვა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების ახალი კონცეფციის თანახმად, ჰსდ არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ მთლიანად თემის წარმომადგენლების უწყვეტი განათლების ცენტრს უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, ექსტრაკურთკულური სერვისები თავად კოლეჯის სტუდენტების და, ასევე, თემის წარმომადგენლებს უნდა სთავაზობდეს გამჭოლი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობას და, ასევე, ემსახურებოდეს ჰსდ-ს და

დაინტერესებული მხარეების დაახლოებას, თემის შეკვრას და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული კულტურის განვითარებას.

- **კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების ჩართვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებაში, კურსდამთავრებულთა ქსელების განვითარება**

კვლევის შედეგები მკაფიოდ აჩვენებს, რომ კურსდამთავრებულებში მაღალია სურვილი, მონაწილეობა მიიღონ დაწესებულების განვითარებაში და შეინარჩუნონ კონტაქტი პსდ-თან სწავლის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების ამოცანაა, შესთავაზოს კურსდამთავრებულებს უფრო მრავალფეროვანი ფორმები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის და სწავლების პროცესში უფრო აქტიური ჩართულობისათვის.

პროფესიით დასაქმებული კურსდამთავრებულები, თავის მხრივ, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებად შეიძლება მოვიხაზოთ, რომლებიც აქტიურად შეიძლება ჩაერთონ კვალიფიკაციების რევიზიის, სტუდენტების შერჩევის, სასწავლო პროცესის წარმართვის და შეფასების, სტუდენტების სტაჟირების და მიღებული კომპეტენციების შეფასების პროცესებში. კურსდამთავრებულთა დადებითი დამოკიდებულებები საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ და მათი მზაობა, დაეხმარონ პსდ-ს შემდგომ განვითარებაში, ამ მიმართულებებით ნაყოფიერი თანამშრომლობის კარგი საწინდარია.

მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაგრძელდეს მუშაობა ამგვარი ქსელების ფორმირებისა და გაძლიერების მიმართულებით. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროგრამების განვითარების საქმისთვის რესურსების კონსოლიდაციას და დააჩქარებს პროფესიული განათლების განვითარების ტემპს ქვეყანაში.

კვლევის წინა ციკლთან შედარებით, 2022 წლის კურსდამთავრებულთა გამოპასუხების გაზრდილი მაჩვენებლის მიუხედავად, რაც ამ კვლევის შესახებ დაწესებულების ადმინისტრაციისა და თავად კურსდამთავრებულთა ცნობიერების ამაღლებაზე მიუთითებს, იმედს გამოვთქვამთ, რომ კურსდამთავრებულთა ქსელების განვითარებასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება კურსდამთავრებულთა კვლევებში გამოპასუხების მაჩვენებელი, მოწოდებული უკუკავშირის ხარისხი და დასახული მიზნების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვის შესაძლებლობები.

დანართები

დანართი 1: კითხვარის დებულებების აღწერითი სტატისტიკის ცხრილები

სწავლის მოტივაცია

ცხრილი 1. ჩამოთვლილი მიზეზებიდან, რამდენად მნიშვნელოვანი იყო თითოეული მათგანი პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარებისას? (რესპონდენტების %, N=3162)

	საერთოდ არ იყო მნიშვნელოვანი	2	3	4	პალან მნიშვნელოვანი იყო
საინტერესო სასწავლო პროგრამა/პროფესია	1.3%	1.1%	2.3%	9.6%	4.0%
დასაქმების მაღალი შანსი	2.6%	3.0%	7.3%	13.9%	73.2%
პროფესიული პროგრამის განამახორციელებელი დაწესებულების კარგი რეპუტაცია	1.6%	1.3%	3.9%	11.7%	81.4%
პროფესიული საგ. დაწესებულების მდებარეობა	6.1%	3.0%	9.4%	14.3%	67.2%
მშობლების/ახლობლების რჩევა	13.4%	5.5%	11.5%	13.2%	56.3%
სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადება	49.1%	4.9%	5.9%	6.4%	33.6%
სწავლის საფასურის არარსებობა/უფასო სწავლა	4.9%	1.6%	3.8%	6.9%	82.8%
კარიერული განვითარების (დაწინაურების) შესაძლებლობა	2.8%	1.6%	6.1%	12.5%	77.0%
სხვა	21.6%	5.4%	8.8%	10.2%	54.0%

ცხრილი 2. პროგრამაზე სწავლისას, გიფიქრიათ სწავლის მიტოვებაზე? (N=3580)

	N	%
დიახ	285	8.0
არა	3295	92.0

ცხრილი 3. პროგრამაზე სწავლისას, გიფიქრიათ სწავლის მიტოვებაზე? (N=260)

	N	რესპონდენტების %
პროგრამა არ შეესაბამებოდა ჩემს მოლოდინებს	80	28.1%
სასწავლო პროგრამა ვერ პასუხობდა ბაზრის მოთხოვნებს	27	9.5%
ოჯახური მიზეზების გამო	75	26.3%
სწავლის დროს დავსაქმდი	55	19.3%
ვერ შევძელი სწავლის საფასურის გადახდა	9	3.2%
სასწავლო პროგრამის დაძლევა მიჭირდა	12	4.2%
ბინის ქირისა და კომუნალურების გადახდა მიჭირდა	17	6.0%
ტრანსპორტირების პრობლემა	50	17.5%

ცხრილი 4. როგორ შეაფასებდით თქვენს სწავლის მოტივაციას პროგრამაზე სწავლის განმავლობაში? (N=3580)

	N	%
ძალიან დაბალი	10	0.3
დაბალი	19	0.5
საშუალო	501	14.0
მაღალი	1617	45.2
ძალიან მაღალი	1433	40.0
სულ	3580	100.0

სასწავლო გარემო და სწავლის გამოცდილება

ცხრილი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას, რამდენად იყო გამახვილებული ყურადღება სწავლა-სწავლების ქვემოთ ჩამოთვლილ ასპექტებზე? (რესპონდენტების %, N=3580)

	არ მაქვს ინფორმაცია/არ მქონია შეხება	საერთოდ არ იყო გამახვილებული ყურადღება	2	3	4	ძალიან იყო გამახვილებული ყურადღება
ლექციები	0.8%	0.5%	1.0%	3.7%	13.2%	80.9%
პრაქტიკული მეცადინეობები	0.9%	1.3%	2.2%	4.9%	12.0%	78.7%
ელექტრონული სწავლება (E-learning)	6.7%	2.5%	3.4%	10.0%	14.8%	62.7%
ჯგუფური სამუშაო	1.8%	1.3%	2.3%	7.3%	16.3%	71.0%
პროექტზე ან პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება	3.2%	1.4%	2.8%	8.5%	15.7%	68.3%
წერილობითი სამუშაო	3.3%	1.2%	2.3%	9.1%	17.2%	66.9%
სტუდენტების ზეპირი პრეზენტაცია	3.3%	1.9%	3.3%	8.1%	18.0%	65.5%
დამოუკიდებლად სწავლაზე ორიენტირებული აქტივობები	2.5%	1.4%	2.4%	7.9%	18.1%	67.7%
პროგრამის შინაარსის თანამედროვეობა და პრაქტიკულ სამუშაო მოთხოვნებთან კავშირი	1.5%	1.3%	2.0%	5.4%	16.1%	73.7%
კავშირი თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს შორის	0.9%	0.7%	1.9%	4.8%	14.6%	77.1%
პრაქტიკული კომპონენტი	1.8%	0.9%	2.3%	5.3%	13.6%	76.2%

ცხრილი 6. სასწავლო გარემოსა და სწავლების პროცესთან დაკავშირებული ასპექტების შეფასება (რესპონდენტების %, N=3580)

	არ მაქვს ინფორმაცია/არ მქონია შეხება	1 - ძალიან უარყოფითად	2	3	4	5 - ძალიან დადებითად
სწავლების ხარისხი	0.2%	0.6%	1.2%	4.0%	11.8%	82.3%
მასწავლებლების კვალიფიკაცია	0.5%	0.3%	0.7%	3.1%	8.3%	87.1%
სტუდენტთა ექსტრაკურსული აქტივობები (მაგალითად, კლუბები)	16.2%	2.3%	4.2%	11.1%	14.7%	51.3%
სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა (მაგ. წიგნები, ინტერნეტზე წვდომა)	1.1%	0.8%	1.8%	4.3%	12.3%	79.7%
მასწავლებლებთან კონსულტაციის შესაძლებლობა	0.7%	0.2%	0.9%	2.3%	9.4%	86.5%
სტუდენტების ჩართულობა პროგრამების ცვლილებაში	6.6%	1.8%	2.8%	8.7%	14.9%	65.3%
სტუდენტების კონტაქტი/კომუნიკაცია ერთმანეთთან	0.3%	0.7%	1.1%	4.6%	12.4%	80.9%
დაწესებულების პოლიტიკაზე სტუდენტების ზეგავლენის შესაძლებლობა	17.3%	2.8%	3.3%	9.4%	14.4%	52.8%
ტექნიკურ აღჭურვილობაზე ხელმისაწვდომობა (მაგ. ლაბორატორიის ხელსაწყოები, კომპიუტერული ლაბორატორიები)	3.5%	1.4%	2.2%	4.7%	12.8%	75.4%
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კეთილმოწყობა	1.4%	0.7%	1.4%	5.1%	14.4%	77.0%
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადაპტირებულობა შშმ/სსსმ პირებისთვის	11.2%	0.9%	1.9%	4.7%	11.3%	70.0%
ბიბლიოთეკის ფუნქციონირება	14.3%	1.2%	1.9%	5.0%	13.0%	64.6%
სტუდენტთა მოტივაციის ხელშეწყობა	1.1%	1.2%	2.2%	5.7%	12.3%	77.5%

ცხრილი 7. სასწავლო დაწესებულების მხრიდან შემოთავაზებული სერვისების შეფასება (რესპონდენტების %, N=3580)

	არ მაქვს ინფორმაცია/არ მქონია შეხება	1 - ძალიან უარყოფითად	2	3	4	5 - ძალიან დადებითად
სასწავლებლის მხრიდან დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარება	8.4%	3.6%	3.2%	7.3%	13.5%	64.1%
კარიერის მართვის სპეციალისტთან კონსულტაცია	15.9%	2.3%	3.5%	7.1%	13.8%	57.3%
დაწესებულების მხრიდან სტაჟირების შესაძლებლობების ძიების პროცესში დახმარება	10.6%	3.0%	2.8%	6.9%	12.4%	64.3%

ცხრილი 8. სასწავლო დაწესებულებასთან კომუნიკაციის ამამინდელი და სასურველი ფორმა (რესპონდენტების %, N=3085)

	ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის კონტაქტი/კავშირი გაქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ამჟამად? (N=4986)		ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის კონტაქტი/კავშირი გსურთ გქონდეთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან? (N=5536)	
	პასუხების რაოდენობა	%	პასუხების რაოდენობა	%
ელექტრონული ფოსტით მიმოწერა	1226	34.7%	1243	34.2%
კურსდამთავრებულთა შეხვედრები	1151	38.7%	1387	32.2%
კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ჯგუფის წევრობა	796	27.6%	987	22.2%
პროფესიული თანამშრომლობა (კონსულტაციები, სწავლება და სხვა)	999	48.7%	1743	27.9%
არ მაქვს/ არ მსურს მქონდეს კავშირი პროფესიულ დაწესებულებასთან	814	4.9%	176	22.7%
სულ	4986	154.6%	5536	139.3%

ცხრილი 9. წარსულში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ იგივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას აირჩევდით? (რესპონდენტთა %, N=3580)

	რესპონდენტთა %	N
1 - საერთოდ არ ვარ დარწმუნებული	4.4	158
2	1.6	57
3	4.6	163
4	9.3	332
5 - სრულიად დარწმუნებული ვარ	80.2	2870
სულ	100.0	3580

ცხრილი 10. წარსულში დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ იგივე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აირჩევდით? (რესპონდენტების %, N=3580)

	რესპონდენტთა %	N
1 - საერთოდ არ ვარ დარწმუნებული	3.6	130
2	1.3	48
3	4.6	163
4	9.4	337
5 - სრულიად დარწმუნებული ვარ	81.1	2902
სულ	100.0	3580

ცხრილი 11. გაიხსენეთ სწავლის პერიოდი და შეაჯამეთ, მთლიანობაში, რამდენად კმაყოფილი ხართ აღნიშნული პროფესიულ პროგრამაზე სწავლით? (რესპონდენტების %, N=3580)

	რესპონდენტთა %	N
1 - საერთოდ არ ვარ კმაყოფილი	0.8	30
2	1.0	37
3	4.9	176
4	13.8	495
5 - სრულიად კმაყოფილი ვარ	79.4	2842
სულ	100.0	3580

კომპეტენციები

ცხრილი 12. რამდენად შეიძინეთ/განივითარეთ ქვემოთ წარმოდგენილი უნარები/კომპეტენციები სწავლის პროცესში? (რესპონდენტების %, N=3580)

	1 საერთოდ არ განმივითარებია	2	3	4	5 საფუძლიანად განვივითარე
პროფესიული ცოდნა	28	37	195	588	2732
პროფესიული უნარები	30	53	211	595	2691
უცხო ენა	232	231	603	757	1757
კომპიუტერული უნარები	141	145	402	745	2147
ახალი იდეების განვითარებისა და შემოქმედებითი უნარები	90	104	328	756	2302
განსხვავებულ პირობებთან ადაპტაციის უნარი	85	94	290	682	2429
სწავლის უნარი	56	53	229	627	2615
ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება	75	67	295	727	2416
სხვა ადამიანებთან ერთად მუშაობის უნარი	42	56	192	541	2749
პრობლემის გადაჭრის უნარი	52	74	228	590	2636
პროფესიული ცოდნა	28	37	195	588	2732
პროფესიული უნარები	30	53	211	595	2691

დასაქმება და სამუშაოს ძიება

ცხრილი 13. ჩამოთვლილთაგან, რომელი იყო თქვენი სტატუსი პროგრამაზე სწავლის დაწყების მომენტისთვის? (N=3580)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების %
დასაქმებული პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეთ	1020	28.5%
თვითდასაქმებული/ფრილანსერული სამუშაო (მაგ: საკუთარი ბიზნესი/მომსახურება) იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეთ	440	12.3%
დასაქმებული სხვა მიმართულებით	996	27.8%
თვითდასაქმებული/ფრილანსერული სამუშაო (მაგ: საკუთარი ბიზნესი/მომსახურება) სხვა მიმართულებით	314	8.8%
არ ვიყავი დასაქმებულ	1224	34.2%

ცხრილი 14. ჩამოთვლილთაგან, რომელია თქვენი სტატუსი ამჟამად? (N=3580)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების %
დასაქმებული პროფესიით, რომელ პროგრამაზეც დაასრულეთ	1437	40.1%
თვითდასაქმებული/ფრილანსერული სამუშაო (მაგ: საკუთარი ბიზნესი/მომსახურება) იმ პროფესიით, რომელ პროგრამაც დაასრულეთ	423	11.8%
დასაქმებული სხვა მიმართულებით	1154	32.2%
თვითდასაქმებული/ფრილანსერული სამუშაო (მაგ: საკუთარი ბიზნესი/მომსახურება) სხვა მიმართულებით	283	7.9%
არ ვარ დასაქმებული	686	19.2%

ცხრილი 15. ეძებთ თუ არა სამუშაოს ამჟამად? (N=686)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების %
დიახ	462	12.9
არა	224	6.3

ცხრილი 16. თუ არ ეძებთ სამუშაოს ამჟამად, რა არის ამის მიზეზი? (N=189)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების %
განვადგინე სწავლა	55	29%
ოჯახური მიზეზები	107	46%
შევიცვალე ინტერესები	36	19%

ცხრილი 17. რა გამოცდილება გაქვთ საზღვარგარეთ მუშაობასთან დაკავშირებით? (N=3580)

	პასუხების რაოდენობა	ვალიდური %
არ მაქვს მსგავსი გამოცდილება და არ მქონია მცდელობა	2312	64.6%
არ მაქვს სამუშაო გამოცდილება, თუმცა მქონია მცდელობა	606	16.9%
მაქვს სამუშაო გამოცდილება	762	21.3%

ცხრილი 18. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან თქვენი გამოცდილებით, რომელი აღმოჩნდა ყველაზე წარმატებული მეთოდი სამსახურის მოსაძიებლად? (N=2840)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
სამუშაო განცხადებები/რეკლამა (მაგ. გაზეთში, ტელევიზია)	456	12.7%
მშობლებისა და ახლობლების კავშირების დახმარება	439	12.3%
მეგობრებისა და სხვა სტუდენტების კავშირების დახმარება	593	16.6%
დამოუკიდებელი კონტაქტი დამსაქმებელთან	854	23.9%
სწავლების პერიოდში გავლილი სტაჟირების პროგრამა	715	20.0%
საჯარო დასაქმების ცენტრი	217	6.1%
კერძო დასაქმების ცენტრი	206	5.8%
ინტერნეტი და სოციალური ქსელი (მაგ. ფეისბუქი)	718	20.1%
ჩემი პროფ. საგ. დაწესებულება (კარიერის მართვის თანამშრომელი)	368	10.3%
ჩემი პროფ. საგ. დაწესებულების მასწავლებელი	471	13.2%
არც ერთი	241	6.7%

ცხრილი 19. ხართ დასაქმებული იმავე რეგიონში, სადაც დაამთავრე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა? (N=2894)

	პასუხების რაოდენობა	ვალიდური %
დიახ	1954	67.5
არა	940	32.5

ცხრილი 20. ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის ორგანიზაციაში მუშაობთ ამჟამად? (N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
საჯარო/სახელმწიფო	907	31.3
კერძო	1547	53.5
საკუთარი ორგანიზაცია/ბიზნესი (ვარ თვითდასაქმებული)	323	11.2
არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO)	42	1.5
საერთაშორისო და დიპლომატიური ორგანიზაცია	75	2.6

ცხრილი 21. ეკონომიკის რომელ სექტორში ხართ ამჟამად დასაქმებული? მონიშნეთ ერთი პასუხი, საიდანაც ყველაზე მეტ შემოსავალს იღებთ (N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
არქიტექტურა და მშენებლობა	292	10.1
ბიზნესი და ადმინისტრირება	330	11.4
განათლება	404	14.0
ელექტროობა (ელექტრონული მიმართულებები)	193	6.7
სილამაზის მომსახურებები	91	3.1
ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	174	6.0

მექანიკა (მექანიკური მიმართულებები)	104	3.6
სამთო საქმე	125	4.3
სასტუმრო, რესტორანი და კვების მომსახურებები	311	10.7
სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვის მიმართულ	190	6.6
სოციალური მეცნიერებები	33	1.1
ტურიზმი	61	2.1
ტექსტილის წარმოება	40	1.4
ტრანსპორტის მომსახურებები	161	5.6
ხელოვნება	103	3.6
ჯანდაცვა	282	9.7

ცხრილი 22. გთხოვთ, მიუთითოთ ჩამოთვლილთაგან რომელს შეესაბამება თქვენი სამუშაო პოზიცია? (N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
დაბალი რგოლის თანამშრომელი (მაგ: სპეციალისტი)	918	31.7
შუა რგოლის თანამშრომელი (მაგ: სუპერვაიზორი)	1050	36.3
ზედა რგოლის თანამშრომელი (მაგ: დირექტორი...)	266	9.2
მიჭირს პასუხის გაცემა	660	22.8

ცხრილი 23. გთხოვთ, მიუთითოთ მოხდა თუ არა ცვლილება თქვენს კარიერულ კიბეზე პროგრამის დასრულების შემდეგ პერიოდში (N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების %
დიახ, დავწინაურდი	1331	46.0
არ შეცვლილა	1563	54.0

ცხრილი 24. ჩამოთვლილთაგან, რომელ კატეგორიაში ხვდება თქვენი ყოველთვიური ანაზღაურება ამჟამინდელ სამსახურში? (N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების %
100 ლარამდე	73	2.5
101-300 ლარი	99	3.4
301-500 ლარი	177	6.1
501- 700 ლარი	280	9.7
701-დან 900 ლარი	299	10.3
901-დან 1000 ლარი	317	11.0
1001-დან 1500 ლარი	550	19.0

1501-2000 ლარი	307	10.6
2001-2500 ლარი	125	4.3
2501-3000 ლარი	95	3.3
3001-დან 4000 ლარი	63	2.2
4001-დან 5000 ლარი	25	.9
5001 ლარი და მეტი	32	1.1
უარი პასუხზე	452	15.6

ცხრილი 25. მოხდა თუ არა ცვლილება თქვენს ანაზღაურებაში პროგრამის დასრულების შემდეგ პერიოდში? (N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
გაიზარდა	1456	50.3
შემცირდა	38	1.3
არ შეცვლილა	1400	48.4

ცხრილი 26. ჯამში, თქვენი ჩათვლით, რამდენი ადამიანია დასაქმებული თქვენ ამჟამინდელ სამსახურში? (N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
50-მდე ადამიანი	981	33.9
51-249 ადამიანი	370	12.8
250-ზე მეტი ადამიანი	496	17.1
არ ვიცი	1047	36.2

ცხრილი 27. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ამჟამინდელი სამუშაოთი? (N=2894)

	რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
1 - სრულიად უკმაყოფილო ვარ	138	4.8
2	164	5.7
3	452	15.6
4	652	22.5
5 - ძალიან კმაყოფილი ვარ	1488	51.4

ცხრილი 28. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად ქვემოთ წარმოდგენილი უნარების/კომპეტენციების ფლობა? (რესპონდენტების ვალიდური %, N=2894)

	1 - საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი	2	3	4	5 - ძალიან მნიშვნელოვანია
პროფესიული ცოდნა	90	45	142	308	2309
პროფესიული უნარები	61	42	138	304	2349
უცხო ენა	187	138	458	471	1640
კომპიუტერული უნარები	198	113	305	432	1846
ახალი იდეების განვითარებისა და შემოქმედებითი უნარი	101	78	251	418	2046
განსხვავებულ პირობებთან ადაპტაციის უნარი	35	47	168	458	2186
სწავლის უნარი	25	32	156	372	2309
ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება	52	51	180	438	2173
სხვა ადამიანებთან ერთად მუშაობის უნარი	15	26	94	293	2466
პრობლემის გადაჭრის უნარი	4	26	92	294	2478

ცხრილი 29. რამდენად ხშირად იყენებთ თქვენ ამჟამინდელ სამსახურში პროგრამაზე სწავლისას მიღებულ ცოდნასა და უნარებს? (რესპონდენტების ვალიდური %, N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
1 - საერთოდ არ ვიყენებ	284	9.8
2	134	4.6
3	302	10.4
4	436	15.1
5 - ძალიან ხშირად ან ყოველთვის ვიყენებ	1738	60.1

ცხრილი 30. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება თქვენი ამჟამინდელი სამუშაო თქვენს პროფესიულ კვალიფიკაციას (რესპონდენტების ვალიდური %, N=2894)

	პასუხების რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
ჩემი ამჟამინდელი სამუშაო შეესაბამება ჩემს კვალიფიკაციას	1945	67.2
ჩემი სამუშაო ითხოვს უფრო დაბალ კვალიფიკაციას	335	11.6
ჩემი სამუშაო ითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას	614	21.2

სამომავლო გეგმები

ცხრილი 31. ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ თქვენს შემდგომ კარიერულ განვითარებაში? (N=3580)

	რაოდენობა	რესპონდენტების ვალიდური %
სამსახურის დაწყება	688	19.2%
სამსახურის შეცვლა	592	16.5%
დაწინაურება მიმდინარე სამუშაო ადგილზე	1109	31.0%
სწავლის გაგრძელება	889	24.8%
საკუთარი ბიზნესის დაწყება	724	20.2%
სამსახურის მიტოვება	34	0.9%
არ ვაპირებ ცვლილებებს	535	14.9%

ცხრილი 32. პროგრამის დასრულების შემდეგ გააგრძელებთ თუ არა სწავლა ქვემოთ ჩამოთვლილ მიმართულებაზე? (N=3580)

	დიახ, იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით	დიახ, სხვა მიმართულებით	არა
პროფესიული ტრენინგები/შემდგომი გადამზადების კურსები	1200	588	1792
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში	996	565	2019
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში	913	534	2133

ცხრილი 33. მთლიანობაში, რამდენად სასარგებლო იყო თქვენ მიერ გავლილი პროფესიული პროგრამა ქვემოთ წარმოდგენილი მიზნებისთვის? (რესპონდენტების ვალიდური %, N=3580)

	1 - საერთოდ არ არის სასარგებლო	2	3	4	5 - ძალიან სასარგებლოა
ადეკვატური სამუშაოს მოძიებისთვის	89	97	336	539	2519
ამჟამინდელ სამსახურში სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისთვის	240	143	364	525	2308
თქვენი პროფესიული/კარიერული განვითარებისთვის	108	89	304	497	2582
თქვენი პიროვნების განვითარებისთვის	60	68	228	491	2733

დემოგრაფიული ნაწილი

ცხრილი 34. რომელ ქვეყანაში დაიბადეთ?

	რაოდენობა	%
საქართველო	3500	97.8%
სხვა	80	2.2%

ცხრილი 35. კურსდამთავრებულების მიერ მიღწეული განათლების უმაღლესი საფეხური

	რაოდენობა	%
პროფესიული განათლება	2246	62.7%
უმაღლესი განათლება (ბაკალავრი)	942	26.3%
უმაღლესი განათლება (მაგისტრი)	349	9.7%
უმაღლესი განათლება (დოქტორი)	43	1.2%

ცხრილი 36. კურსდამთავრებულების მშობლების მიერ მიღწეული განათლების უმაღლესი საფეხური

	მამის მიერ მიღწეული განათლების დონე		დედის მიერ მიღწეული განათლების დონე	
	რაოდენობა	ვალიდური %	რაოდენობა	ვალიდური %
განათლების გარეშე	49	1.4%	42	1.2%
დაწყებითი განათლება	50	1.4%	63	1.8%
საბაზო განათლება	104	2.9%	92	2.6%
საშუალო განათლება	832	23.2%	803	22.4%
პროფესიული განათლება	988	27.6%	973	27.2%
უმაღლესი განათლება (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი)	1298	36.3%	1388	38.8%
არ ვიცი	259	7.2%	219	6.1%

ცხრილი 37. რომელ ქვეყანაში (ძირითადად) დაასრულეთ სკოლა?

	რაოდენობა	%
საქართველო	3513	98.1%
სხვა	67	1.9%

ცხრილი 38. სად მდებარეობდა სკოლა, რომელით თქვენ დაამთავრეთ?

	რაოდენობა	%
ქალაქი	2044	57.1%
სოფელი	1536	42.9%

ცხრილი 39. გთხოვთ, მონიშნოთ თქვენი ეთნიკური წარმომავლობა

	რაოდენობა	%
ქართველი	3414	95.4%
აზერბაიჯანელი	29	0.8%
სომეხი	60	1.7%
ოსი	23	0.6%
სხვა	54	1.5%

ცხრილი 40. რომელ ქვეყანაში ცხოვრობთ ამჟამად?

	რაოდენობა	%
საქართველო	3513	98.1%
სხვა	67	1.9%

ცხრილი 41. რომელ რეგიონში ცხოვრობთ?

	რაოდენობა	%
აჭარა	676	19.2%
აფხაზეთი	5	0.1%
გურია	119	3.4%
იმერეთი	501	14.3%
კახეთი	323	9.2%
ქვემო ქართლი	198	5.6%
მცხეთა-მთიანეთი	71	2.0%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	33	0.9%
სამაჩაბლო	1	0.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	363	10.3%
სამცხე-ჯავახეთი	127	3.6%
შიდა-ქართლი	299	8.5%
თბილისი	797	22.7%

ცხრილი 42. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი შეგესაბამებათ? გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი.

	რაოდენობა	%
მაქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი	93	2.6%
მაქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი	162	4.5%
მაქვს სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი	255	7.1%
იმულებით გადაადგილებული პირი	158	4.4%
მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი	219	6.1%
თავშესაფრის მაძიებელი	16	0.4%
ე.წ. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრები პირი	41	1.1%
ლტოლვილი	92	2.6%
ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი	13	0.4%
არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი	2641	73.8%
სხვა სტატუსი (დააზუსტეთ)	16	0.4%

დანართი 2: კვლევაში მონაწილე დაწესებულებების ჩამონათვალი დაწესებულებების ტიპებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის მიხედვით

დაწესებულება	კერძო	საჯარო
ა(ა)იპ - კოლეჯი "იკაროსი"	0	80
ა(ა)იპ - კოლეჯი "პრესტიჟი"	0	58
ა(ა)იპ - კოლეჯი "ჰორიზონტი"	0	72
ა(ა)იპ - კოლეჯი განთიადი	0	50
ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა	0	9
ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2	0	28
ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი	0	95
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ლეკორატიული მებაღეობის საზოგადოებრივი კოლეჯი	4	0
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	31	0
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0	164
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0	87
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	0	64
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0	8
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0	119
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი	0	40
სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი	0	75
სსიპ - კასპის კოლეჯი	0	58
სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“	0	28
სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“	0	68
სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“	0	113
სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“	0	89
სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“	0	83
სსიპ - კოლეჯი "აისი"	0	234
სსიპ - კოლეჯი "ახალი ტალღა"	0	287
სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“	0	92
სსიპ - კოლეჯი „ერქვანი“	0	17
სსიპ - კოლეჯი „მერმისი“	0	123
სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“	0	116
სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“	0	125
სსიპ - კოლეჯი ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია	0	14
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0	26
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	0	57
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	0	37

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი	0	32
სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი	0	4
სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი	0	8
სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა	0	20
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	0	96
სსიპ კოლეჯი "იბერია"	0	98
შპს არსი	14	0
შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია BPA	33	0
შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია	16	0
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი	9	0
შპს ბარაკონი	20	0
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია	1	0
შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი	7	0
შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი	43	0
შპს ილია - ილია ქავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი	23	0
შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო	31	0
შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი	9	0
შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი	41	0
შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი	23	0
შპს ორიენტირი	101	0
შპს პროფიუნტი	85	0
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“	25	0
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy	10	0
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი	64	0
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა	36	0
შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი	35	0
შპს სიო	6	0
შპს ცხუმ-ეგრისი	43	0
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	83	0
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია	6	0
შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი	7	0

ცხრილი 43. კურსდამთავრებულების განაწილება დარგების მიხედვით

მიმართულება	კვლევაში ჩართული რესპონდენტები რაოდენობა	სულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა	რესპონდენტთა განაწილება დარგების მიხედვით შერჩევაში (%)
არქიტექტურა და მშენებლობა	220	357	62%
ბიზნესი და ადმინისტრირება	513	1073	48%
განათლება	165	318	52%

ელექტროობა (ელექტრონული მიმართულებები)	371	666	56%
სილამაზის მომსახურებები	139	276	50%
ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	288	605	48%
მექანიკა (მექანიკური მიმართულებები)	153	349	44%
ტურიზმი (სამთო გამყოლი)	26	48	54%
სპორტი	0	0	0
სამთო საქმე	117	167	70%
სასტუმრო, რესტორანი და კვება	271	553	49%
სოფლის მეურნეობა და გარემოსდაცვითი მიმართულებები	367	626	59%
სოციალური მეცნიერებები	48	79	61%
ტექსტილის მომსახურებები	120	202	59%
ტრანსპორტის მომსახურებები	262	872	30%
ხელოვნება	125	217	58%
ჯანდაცვა	395	1233	32%
სულ	3580	7641	47%

დანართი 3: კვლევაში ჩართული პროგრამები ფუნქციური დარგებისა და რესპონდენტთა რაოდენობების მითითებით

ფუნქციური დარგი	პროგრამა	რესპონდენტთა რაოდენობა
არქიტექტურა და მშენებლობა	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	18
	არქიტექტორ-ტექნიკოსი	8
	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე	7
	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	35
	იატაკისა და ფილის სამუშაოები	21
	კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)	16
	მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი	11
	მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები	3
	მშენებლობის წარმოება-სამღებრო სამუშაოები	3
	მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები	5
	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი	8
	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	15
	საავტომობილო გზების მშენებლობა	20
	სამღებრო სამუშაოების მწარმოებელი	2
	სამღებრო სამუშაოების შესრულება	1
	სამღებრო სამუშაოების წარმოება	2
	სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია	14
	ქვის სამუშაოების მწარმოებელი	2
	ქვის სამუშაოების წარმოება	21
	წყალმომარაგების სისტემები	6
	წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია	2
ბიზნესი და ადმინისტრირება	ბუღალტრული აღრიცხვა	166
	ლოგისტიკა	7
	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	6
	საოფისე საქმე	118
	სარეკლამო აგენტი	2
	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	45
	საფინანსო სერვისები	139
	ღონისძიების ორგანიზება	21
	შემფასებელი	8
	განათლება	აღმზრდელი
	ბაგა - ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი	102
	სკოლამდელი აღზრდა	19

ელექტრობა (ელექტრონული მიმართულებები)	ელექტრობა	321
	მექატრონიკა	3
	რკინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობა	13
	საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტრობა	16
	სამრეწველო ავტომატიზაცია	1
	ჰაერის კონდიცირება	17
ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	ვებპროგრამისტი	3
	ვებტექნოლოგიები	8
	ინფორმაციის ტექნოლოგია	142
	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი	5
	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	65
	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	52
	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	7
	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება	6
მექანიკა (მექანიკური მიმართულებები)	აგრომექანიზაცია	5
	მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი	5
	მეჩარხე	5
	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	6
	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	16
	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება	15
	რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა	1
	სავაგონო მეურნეობა	6
	სავალი ნაწილის შეკეთება	5
	შედულება	66
	შედულება 3	5
	შემდულებელი	13
	ძრავას შეკეთება	5
სამთო საქმე	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი	29
	სამთო ელექტრომექანიკოსი	34
	სამთო ტექნიკოსი	54
სასტუმრო, რესტორანი და კვება	ბართენდერი	14
	კონდიტერია	32
	კულინარიის ხელოვნება	188
	სარესტორნო მომსახურება	12
	სასტუმრო მომსახურება	22
	სასტუმროს მომსახურება	3
სილამაზის მომსახურებები	ვიზაჟის მომსახურება	18
	ვიზაჟისტი	5

	თმის მომსახურება	77
	თმის სტილისტი	5
	თმისა და სილამაზის მომსახურება	29
	სტილისტი	2
	ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი	3
სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა	ბალის დიზაინი	1
	დეკორატიული მეზღვეობა	6
	ვეტერინარია	77
	თევზის გადამუშავება	4
	ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში	4
	მეზღვეობა	20
	მეზღვეობა	7
	მევენახეობა-მელვინეობა	4
	მეფუტკრე	2
	მეფუტკრეობა	36
	მეხილეობა	15
	მეხილეობა-მეჩაიეობა	5
	რძის პროდუქტების წარმოება	6
	სატყეო საქმე	79
	ფერმერი მემცენარე	1
	ფერმერობა	7
	ფერმერობა მეთევზეობაში	3
	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	59
	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი	24
	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება	7
სოციალური მეცნიერებები	ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი	6
	ბიბლიოთეკარი	9
	რეპორტიორი	4
	საბიბლიოთეკო საქმე	26
	ტელე-რადიოწამყვანი	3
ტექსტილის წარმოება	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	13
	სამკერვალო წარმოება	85
	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	4
	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	12
	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება	6
ტრანსპორტის მომსახურებები	ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება	15
	ამწის ოპერირება III	5
	გემბანის რიგითი მეზღვეური	35
	გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია	16
	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია	17

	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	37
	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია	7
	ლოკომოტივის მართვა	12
	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	3
	საბაჟო საქმე	34
	საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია	5
	საგემზანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემზანის რიგითი მეზღვაური	60
	სარკინიგზო გადაზიდვები	16
ტურიზმი (სამთო გამყოლი)	სამთო გამყოლი	8
	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი	10
	ტუროპერატორი	8
ხელოვნება	ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი	3
	ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები	1
	გრაფიკული დიზაინის შესრულება	3
	ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება	8
	ვიდეომონტაჟი	5
	თექის დამზადება	13
	კერამიკული ნაკეთობის დამზადება	11
	მომინანქრება	8
	მუსიკის რეპეტიტორი	8
	მხატვრული ქსოვა	2
	მხატვრული ქსოვილები	16
	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	3
	სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკა	2
	სახვითი ხელოვნების სპეციალისტი	1
	ტელერეჟისურა	5
	ფლორისტიკა	3
	ფოტოგრაფია	13
	ხის მხატვრული დამუშავება	20
ჯანდაცვა	კბილის სატექნიკო საქმე	12
	პრაქტიკოსი ექთანნი	14
	საექთნო განათლება	83
	საექთნო საქმე	67
	ფარმაცია	143
	ფარმაცია (სააფთიაქო)	76